ქართველების გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№320 (379) 16-23 ივნისი 2015 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა – აკაკი შანიძე

ალექსანდრე ჭაჭია: ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ გვაქვს შანსი, ავაშენოთ ისეთი საქართველო, როგორზეც ოცნებობდი...

...იცით, როგორ გეგმავდა ჰიტლერი დაპყრობილი ერების მორჩილებაში ყოლას, მათი გამრავლებისა და გონებრივი განვითარების არდაშვებას? ხალხის უმრავლესობას კინოფილმების გავლენით შეექმნა შთაბეჭდილება, რომ იგი აპირებდა მკაცრი დისციპლინის დამყარებას, ერების მუდმივ შიშში ყოლას, მათთვის ყველანაირი თავისუფლების შეზღუდვას... მაგრამ იყო აბსოლუტურად პირიქით!

...20 წელია, ჩვენი მმართველები გვარწმუნებენ, რომ გვიბოძეს თავისუფლება, გაგვათავისუფლეს «საბჭოთა მონობისგან», მაგრამ რაში გამოიხატება ეს თავისუფლება? თავისუფალი შეიძლება იყოს მხოლოდ ის ადამიანი, რომელსაც არჩევანის უფლება და საშუალება გააჩნია.

გვ.2

გერმანელი ავტორები სამეგრელოს შესახებ

იგორ კეკელია

გვ.6

პურის ხარისხის კვლევის საგანგაშო შედეგები

სუპერმარკეტებისა და მაღაზიების დიდ ნაწილში პურის შენახვის ნორმები დაუდევრად ირღვევა. საქართველოში სარეალიზაციო პურის 60%-ს დართული აქვს არასწორი ეტიკეტი, ხოლო სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მხრივ არსებულ დარღვევათა მასშტაბი 70%-ს აღწევს.
მომხმარებლების მხრიდან ყველაზე მეტი კითხვა პურის ხარისხს უკავშირდება.

გვ. 8

ირმა ინაშვილი: „სამეგრელოში ნაციონალისტებმა სრული კრახი განიცადეს! სამეგრელო, მაგრად მიყვარხარ!

გვ. 3

ვანუატუს — უვიზო რეჟიმი

ჩ ვ ე ნ —

გვ. 3

გამოხმაურება წერილზე “ისტორიის გამრუდებული სარკე“

გვ. 4

(ანუ, როგორ ალამაზებენ თურქები საკუთარ ისტორიას და როგორ ვამახინჯებთ ქართველები საკუთარ ისტორიას)

ალექსანდრე ჭაჭია: ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ გვაქვს შანსი, ავაშენოთ ისეთი საქართველო, როგორზეც ვოცნებობდი...

გაზეთი "ილორი" გთავაზობთ ალექსანდრე ჭაჭიასთან ინტერვიუს მესამე, დასკვნით ნაწილს, რომელიც დაიბეჭდა 2014 წელს გაზეთში "საქართველო და მსოფლიო".

– ბატონო ალექსანდრე, საზოგადოებრიობის ლიბერალური, პროდასავლური ნაწილი გვარწმუნებს, რომ ეკლესიის ჩარევა საჯარო ცხოვრებაში, და საერთოდ, ტრადიციული საზოგადოებრივი ინსტიტუტების ფუნქციონირება – ეს არქაიკაა, ანაქრონიზმია, რომელიც არღვევს ადამიანის უფლებებს და ზღუდავს მის თავისუფლებებს.

– მორალია ანაქრონიზმი? ადამიანური მორალი იწყება იქ, სადაც ყალიბდება აკრძალვები. მორალი არის პრაქტიკულად აკრძალვათა სისტემა. ადამიანი ათასწლეულების წინ მიხვდა, რომ იგი ვერ შექმნის საზოგადოებას, ტომს, ერს, ანუ ვერ გადარჩება, თუ არ შეზღუდავს თავისუფლებას. თავისუფლება შეზღუდვების გარეშე არის გზა პირუტყვობისკენ. ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვით მე-4 საუკუნეში პლატონი ამბობდა, რომ აბსოლუტური თავისუფლებისგან ყოველთვის წარმოიშობა უდიდესი და უსასტიკესი მონობა.

იცით, როგორ გეგმავდა ჰიტლერი დაპყრობილი ერების მორჩილებაში ყოლას, მათი გამრავლებისა და გონებრივი განვითარების არდაშვებას? ხალხის უმრავლესობას კინოფილმების გავლენით შეექმნა შთაბეჭდილება, რომ იგი აპირებდა მკაცრი დისციპლინის დამყარებას, ერების მუდმივ შიშში ყოლას, მათთვის ყველანაირი თავისუფლების შეზღუდვას... მაგრამ იყო აბსოლუტურად პირიქით! ჰიტლერი საჭიროდ თვლიდა დაპყრობილი ერებისთვის ინდივიდუალური თავისუფლებების მაქსიმუმის მინიჭებას, მათზე სახელმწიფო კონტროლის ყოველგვარი ფორმის გაუქმებას და სწორედ ამ გზით იმის მიღწევას, რომ ეს ერები ინტელექტუალური და ზნეობრივი განვითარების ყველაზე დაბალ დონეზე აღმოჩნდებოდნენ. მე სიტყვა-სიტყვით მოგიყვანთ ჰიტლერის ფრაზას: რაც უფრო პრიმიტიულია ხალხი, მით უფრო მეტად აღიქვამს თავისუფლების შეზღუდვას, როგორც ძალადობას მის მიმართ. იგი თვლიდა, რომ ამ ერებს უნდა მინიჭებოდა სრული სექსუალური თავისუფლება, ნებადართული ყოფილიყო ყველანაირი რელიგიური სექტა, სახელმწიფომ არ უნდა დააძალოს სწავლა, მკურნალობა, ყველანაირად უნდა წაახალისოს უდარდელი ცხოვრებისკენ, რისთვისაც ყველა ქალაქსა და სოფელში უნდა დაეყენებინათ რეპროდუქტორები, რომლებიდანაც დღე და ღამე ისმის მხიარული მუსიკა. ცხოვრების მთავარი სტიმული ამ ერებისთვის უნდა ყოფილიყო სამრეწველო პროდუქციის შეძენა, მაგრამ ამ ერებს გერმანელებისგან ცალკე უნდა ეცხოვრათ. გერმანელები უნდა ყოფილიყვნენ ვალდებულნი, დაეცვათ მკაცრი მორალური ნორმები, ეროვნული ტრადიციები, განევითარებინათ ეროვნული კულტურა, ბეჯითად ესწავლათ, დაუფლებოდნენ მაღალტექნოლოგიურ პროფესიებს, ხოლო სახელმწიფო ვალდებულია უმკურნალოს ყველა გერმანელს, შეუქმნას მას ფიზიკური და ინტელექტუალური განვითარებისთვის საჭირო პირობები, არ დაუშვას რელიგიური სექტების ჩამოყალიბება. დისციპლინა და ვალდებულებები – მხოლოდ გერმანელებისთვის, ყველა დანარჩენს – სრული თავისუფლება.

როგორც ხედავთ, ალენ დალესი საბჭოთა კავშირის დაშლის თავისი ცნობილი დოქტრინით, უბრალოდ, ჰიტლერის მოსწავლეა. ახლა კი შეადარეთ ის თავისუფლებები, რომლებიც ჰიტლერს უნდოდა, ჩვენთვის მოენიჭებინა ჩვენივე დეგრადაციისთვის, იმ თავისუფლებებს, რომლებსაც ჩვენი საზოგადოების ლიბერალური ნაწილი და მათი დასავლური კურატორები ითხოვენ. ერთი და იგივე არ არის?

საზოგადოებრივი ცნობიერებით მანიპულირების პროცესში თავისუფლების ცნება ყველაზე გამოყენებადია. 20 წელია, ჩვენი მმართველები გვარწმუნებენ, რომ გვიბოძეს თავისუფლება, გაგვათავისუფლეს «საბჭოთა მონობისგან», მაგრამ რაში გამოიხატება ეს თავისუფლება? თავისუფალი შეიძლება იყოს მხოლოდ ის ადამიანი, რომელსაც არჩევანის უფლება და საშუალება გააჩნია. მაგრამ იმისთვის, რომ ჩვენ გვქონდეს ასეთი საშუალება, უნდა გაგვაჩნდეს აუცილებელი – სახლი, სამსახური, ხელფასი, პენსია, რაც მოგვცემს საშუალებას გამოვიყენოთ არჩევანის უფლება. ღარიბი ადამიანი არ შეიძლება იყოს თავისუფალი, იგი ყველაფერზე წავა სამსახურისა და ხელფასის გამო. გვეუბნებიან, რომ ჩვენ მივიღეთ მსოფლიოში მოგზაურობის თავისუფლება. დიახ, ეს თავისუფლებაა, როდესაც შეგიძლია შენი სიამოვნებისთვის წახვიდე სხვა ქვეყნებში, მაგრამ ამის საშუალება მოსახლეობის მხოლოდ 2 პროცენტს აქვს, ხოლო როდესაც ერის ნახევარი მიემგზავრება ლუკმაპურის საშოვნელად, ეს თავისუფლება არაა, ეს მონობაა.

ჩვენ გაგვათავისუფლეს, მაგრამ გაგვათავისუფლეს ჩვენი უფლებებისგან – მუშაობის, საცხოვრებლის, უფასო განათლებისა და ჯანდაცვის უფლებისგან. გვეუბნებიან, რომ მოგვცეს სიტყვის თავისუფლება, მაგრამ ამ თავისუფლებას მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, როდესაც ხელისუფლებას გააჩნია ვალდებულება იკითხოს, ისმინოს და რეაგირება მოახდინოს. შევარდნაძის და სააკაშვილის დროსაც შეიძლებოდა ყველაფრის დაწერა, მაგრამ რა სარგებელი მოიტანა ამან, თუ ხელისუფლება წამოწეულ პრობლემაზე არანაირად არ რეაგირებდა? სარგებელი ჰქონდა მხოლოდ ხელისუფლებას, რომელიც ამაყად აცხადებდა, რომ ქვეყანაში არსებობს სიტყვის თავისუფლება.

ლიბერალი დასავლეთელები თავისუფლებას ეძახიან იმასაც, რომ ქვეყანაში შემოიჭრა დასავლური საქონელი, ჩვენ გავხდით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი და დღეს ყველა ადამიანს თითქოსდა შეუძლია შეიძინოს მისთვის საჭირო ნივთი. მთელი პროპაგანდა, სატელევიზიო რეკლამა, მთელი თავსმოხვეული ცხოვრების წესი უბიძგებს ადამიანს სულ ახალი და ახალი საქონლის მოხმარებისა და შეძენისკენ. და ეს ხდება გაძარცვულ ქვეყანაში, რომელსაც ღარიბი მოსახლეობა ჰყავს! და ეს, მათი აზრით, არის თავისუფლება! ჯერ ერთი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლა იმ დროს, როდესაც ქვეყანას არ გააჩნია ეროვნული ეკონომიკა და კონკურენტუნარიანი პროდუქცია, ნიშნავს გაანადგურო საკუთარი მეწარმე და გახდე სხვისი საქონლის მომხმარებელი. მეორე, საკუთარი მოქალაქეების ორიენტირება მოხმარებაზე, მითუმეტეს სხვისი საქონლის, ნიშნავს, ჰიტლერის რეცეპტით გადააქციო ისინი პირუტყვებად, რომელთა ცხოვრების მთელი სიხარული და აზრი დევს ახალი ნივთის შეძენაში. შეხედეთ ჩვენი ახალგაზრდობის უდიდეს ნაწილს, რომელიც სამომხმარებლო პროპაგანდის ქვეშ ჩამოყალიბდა. როგორი ცხოვრებისეული მიზნები აქვთ მათ? იყიდონ მობილური ტელეფონის ახალი მოდელი, შეიძინონ ახალი მოდელის კომპიუტერი, ვინც უფრო მდიდარია – ავტომობილის ახალი მოდელი და ა. შ. ხოლო ტელერეკლამა ყოველდღე ყვირის: **«გამოვიდა ახალი მოდელი!» «შეიძინეთ ახალი მოდელი!» «იყიდეთ, არ ჩამორჩეთ მოდას!».** ხალხს მაიმუნებად, იდიოტებად აქცევენ, რომელთათვისაც ბედნიერება ახალი ნივთის, ახალი საქონლის შეძენაშია. მთელ მსოფლიოში ადამიანების იდიოტებად გადაქცევით საერთაშორისო კაპიტალი ისეთ ფულს შოულობს, რომელთან შედარებითაც სახსრები, რაც იდება ადგილობრივი ლიბერალების მხარდასაჭერად, რომლებიც დასავლურ ღირებულებებს უწევენ პროპაგანდას, – უმნიშვნელოა.

სამომხმარებლო საზოგადოების შექმნით ევროპა ჩიხში შევიდა. იმავე ჩიხშია ახლა აშშ, რომელიც ჯერჯერობით ახერხებს არაფრით უზრუნველყოფილი დოლარით, 136 სამხედრო ბაზის მუქარითა და კოლოსალური საგარეო ვალით მთელი მსოფლიოს ექსპლუატაციას და საკუთარ ქვეყანაში მოხმარების დონის შენარჩუნებას. მაგრამ ევროპაშიც და აშშ-შიც, როდესაც ისინი აყალიბებდნენ ამ მოხმარების საზოგადოებას, გააჩნდათ შესაბამისი რესურსები. და როგორი რესურსები აქვს საქართველოს? რით შეუძლია საქართველოს დააკმაყოფილოს პროპაგანდის მიერ კულტივირებული მოთხოვნები? როგორი გაიზრდება თაობა, რომელსაც მოუწოდებენ, იცხოვრონ **«როგორც ისინი»,** მაგრამ რომელსაც ამისთვის არავითარი რესურსი არ გააჩნია?

– შეუძლია თუ არა პატარა, სუსტ საქართველოს წინააღმდეგობა გაუწიოს ამ დასავლური «ღირებულებების» აგრესიულ თავსმოხვევას? პატარა წინააღმდეგობაც კი ევროპული სტრუქტურების, ამერიკის ხელისუფლების მხრიდან აღშფოთების ტალღას იწვევს. ამიტომ საზოგადოებაში ხშირად გაისმის ხოლმე ასეთი მოსაზრება: შეიკრიბონ ეს ჰომოსექსუალები ერთად და იარონ თავიანთი პლაკატებით, ჩვენ რა?

– საქმე ისაა, რომ ქუჩებში სიარულით ეს არ დამთავრდება. როგორც კი საზოგადოება სისუსტეს გამოიჩენს, გეიმოძრაობის მხარდასაჭერად გამოიყოფა უზარმაზარი თანხები და გეიაქტივისტები მოვლენ სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, მოედებიან ტელევიზიებს, რადიოს, მასობრივი ტირაჟით გამოუშვებენ გაზეთებსა და ჟურნალებს. შემდეგ თავს მოგვახვევენ იუვენალურ იუსტიციას, რათა საბოლოოდ ჩამოაშორონ შვილები მშობლებს. 5-10 წლის შემდეგ ვეღარ ვიცნობთ ჩვენს საზოგადოებას, იგი სხვანაირი გახდება. მაგრამ ამითაც არ დასრულდება საქმე. უზნეობას, როგორც ცნობილია, საზღვარი არ აქვს. ჰოლანდიაში, მაგალითად, უკვე შეიქმნა პედოფილთა პარტია, რომელიც ითხოვს მათი უფლებების დაკანონებას. შვეიცარიაში ინცესტი, ანუ მშობლებსა და შვილებს, ძმებსა და დებს შორის სექსუალური ურთიერთობები ოფიციალურად ნებადართულია. ასეთივე კანონები მზადდება სკანდინავიის ქვეყნებში. აშშ-ში გახსნილია სკოლები არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე ბავშვებისთვის. იურიდიული სფეროდან ქრება ისეთი ცნებები, როგორიც არის **«მამა», «დედა», «ქმარი», «ცოლი».** საფრანგეთში, მაგალითად, ამის ნაცვლად მიღებულია «მშობელი 1», «მშობელი 2», «პარტნიორები». ეს ყველაფერი ჩვენამდეც მოვა.

ერები, რომლებიც ამ «დასავლური ღირებულებების» კულტივირებას მიჰყოფენ ხელს, დეგრადირდებიან და დაიღუპებიან. ამერიკასა და ევროპაში უკვე აღარ არის საყოველთაოდ აღიარებული ინსტიტუტები, რომელთაც ძალუძთ, წინააღმდეგობა გაუწიონ ამ დეგრადაციას. პროტესტანტიზმის თითქმის ყველა შტო მხარს უჭერს ამ **«თავისუფლებებს»** და ისინი სინამდვილეში გადაიქცნენ ფსევდორელიგიურ სექტებად. ისინი ჯვარს სწერენ ჰომოსექსუალებს, ანუ მათ ქორწინებას ღვთის სახელით აკურთხებენ! მათვე დაიწყეს ბიბლიის რედაქტირება – იმ ადგილების ამოღება, რომლებიც ჰომოსექსუალისტების იდეოლოგიისთვის მიუღებელია. აშშ-ში უკვე შეიქმნა ასეთი ბიბლია. კათოლიკურმა ეკლესიამაც ვერ შეძლო სახელმწიფო პროპაგანდისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურობისთვის წინააღმდეგობა გაეწია და იმის შიშით, რომ არ დაეკარგა მრევლი, ასევე მიდის გარკვეულ დათმობებზე. ევროპული ერები, ფაქტობრივად, მთავარი ზნეობრივი ორიენტირის – ქრისტიანული მორალის გარეშე დარჩნენ. სურთ რა, არ დაკარგონ ადამიანური სახე, არ გადაიქცნენ პირუტყვებად, ბევრი იღებს დღეს ისლამს. მასობრივად გადადიან ისლამზე ეთნიკური ინგლისელები, ფრანგები, ჰოლანდიელები, გერმანელები. მათ ამ რელიგიაში იზიდავს სექსუალური გარყვნილებების კატეგორიული უარყოფა, ოჯახის კულტი, ტრადიციების პატივისცემა, ბავშვების მაღალზნეობრივი აღზრდა. ნორმალური ხალხი ხვდება, რომ მხოლოდ ასეთ ღირებულებებზე დაყრდნობითაა შესაძლებელი ადამიანის, ოჯახის, ერის შენარჩუნება.

ბევრი თანამედროვე ფილოსოფოსი, პოლიტოლოგი გვარწმუნებს, რომ მსოფლიოს მომავალი ჩინეთსა და ისლამს ეკუთვნის. ჩინეთი დასავლეთისგან ალტერნატიული ეკონომიკური განვითარების გეზია სახელმწიფო რეგულირებით და განსაკუთრებული მსოფლმხედველობაა, რომელიც ადამიანის სულისა და ასკეტიზმის ფილოსოფიაზეა აგებული. ისლამი რელიგიური ზნეობრივი ნორმებისა და ტრადიციული ცხოვრების წესის მკაცრი დაცვაა. ორივე შემთხვევაში საფუძვლის საფუძველი ტრადიციაა. მადლობა ღმერთს, რომ მართლმადიდებლობა, მიუხედავად ძლიერი წნეხისა, ჯერჯერობით მყარად დგას ადამიანის, როგორც ღვთის ქმნილების, დასაცავად. არის მონაცემები, რომ ბოლო წლებში ევროპაში რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის სამწყსოებში მრევლის რაოდენობა კათოლიკეებიდან და პროტესტანტებიდან მართლმადიდებლობაში გადმოსულების ხარჯზე იზრდება. ეს გასახარი ტენდენციაა.

რაც შეეხება ევროპული სტრუქტურების ზეწოლას, ჩვენი საზოგადოება უნდა გათავისუფლდეს მათ წინაშე მონური თაყვანისცემისგან. სასაცილო და ამაზრზენი სანახავია, როგორ ჩამოდის თბილისში თაღლითების ჯგუფი ევროპარლამენტიდან და გვასწავლის მათი კანონებით ცხოვრებას. მცოდნე ხალხმა იცის, რომ ევროპარლამენტის მინიმუმ ნახევარი მაინც დაკომპლექტებულია ავანტიურისტებით, მექრთამეებით, ჰომოსექსუალებით, ლესბოსელებით, რომლებმაც საკუთარ ეროვნულ სახელმწიფოებში არანაირი პოზიტიური საქმიანობით თავი ვერ წარმოაჩინეს. ისინი დაკავებულები არიან ლობიზმით – როგორც ოფიცილურით, ისე მექრთამეობაზე აგებულით. თავიანთ სახელმწიფოებში ქრთამის აღების ეშინიათ და იღებენ ისეთ პროვინციულ ქვეყნებში, როგორიცაა საქართველო, სადაც ამ პარლამენტარებს, როგორც კერპებს, ისე უყურებენ. სახალხო პარტიის წარმომადგენელთა ჯგუფი, რომელიც აქტიურად აკრიტიკებს საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას, უბრალოდ ცდილობს აითვისოს ის ფული, რომელიც წინა ხელისუფლებამ გადაუხადა. ივანიშვილმა მათ წერილები კი არ უნდა მისწეროს, არამედ ფული გადაუხადოს და ისინი მასაც ისევე შეაქებენ, როგორც მიშას აქებდნენ.

– გადაწყდა, რომ წლეულს, დამოუკიდებლობის დღეს არ გამართულიყო სამხედრო აღლუმი. ოპოზიციას მიაჩნია, რომ ამით დაირღვა ტრადიცია და საკუთარი არმიისადმი უპატივცემულობა გამომჟღავნდა...

– თანამედროვე საქართველოში სამხედრო აღლუმები სასაცილო და სამარცხვინო მოვლენაა. ჩამოყალიბებიდან დღემდე ქართული არმია დამარცხდა ყველა შეიარაღებულ კონფლიქტში, რომელშიც კი მონაწილეობდა, ამასთან, ყოველი დამარცხების შემდეგ იმართებოდა ბრწყინვალე აღლუმები მაღალფარდოვანი ტრაბახით. დღემდე პირად შეურაცხყოფად მიმაჩნია აღლუმი, რომელიც შევარდნაძემ აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ გამართა. მისი არმია პანიკურად გამორბოდა იქიდან და უპატრონოდ ტოვებდა მოსახლეობას – ბავშვებს, ქალებს, მოხუცებს. ყველაზე წინ გენერლები გარბოდნენ... და მერე იგივე გენერლები თავიანთ მთავარსარდალთან ერთად, სადღესასწაულო მუნდირებში გამოწყობილნი, ტრიბუნაზე იდგნენ და ამაყად იბარებდნენ გამოქცეული არმიის აღლუმს. ამ დროს კი ჭუბერის უღელტეხილზე ქალები შიმშილისგან გარდაცვლილ შვილებს მარხავდნენ.

სააკაშვილმა ეს პრაქტიკა სრულ მარაზმამდე მიიყვანა. ომში დამარცხების აღნიშვნა მან არამარტო აღლუმებით გააგრძელა, არამედ გრანდიოზული კონცერტებიც დაუმატა. სხვათა შორის, ქართულ აღლუმებს ყოველთვის აჩვენებდნენ აფხაზური და ოსური ტელევიზიები. ჩვენს არმიასა და სამხედრო აღლუმებზე იქ ათობით ანეკდოტს ყვებიან. ვფიქრობ, დროა, აღარ ვიყოთ ხალხის თვალში სასაცილონი.

ქართულმა საზოგადოებამ უნდა გადახედოს მისთვის თავსმოხვეულ წარმოდგენას ჩვენი არმიის როლსა და მნიშვნელობაზე. საღად მოაზროვნე ადამიანი ხვდება, რომ მეზობელ ქვეყნებთან, ხალხებთან უთანხმოების მოგვარებას ძალისმიერი გზით ვერ შევძლებთ. ჩვენ არასოდეს გვეყოლება ისეთი არმია, რომელიც შეძლებს დაუპირისპირდეს რუსეთს, ირანს, თურქეთს. სწორედ ეს გიგანტური სახელმწიფოებია ჩვენი მეზობლები და ჩვენი მეზობელი პატარა ქვეყნების მოკავშირეები. საზოგადოების ორიენტირება **«თანამედროვედ შეიარაღებული ძლიერი არმიის»** აუცილებლობაზე – ეს არის ხელისუფლებისა და მისი უცხოელი კურატორების ბლეფი და გულუბრყვილო ობივატელის მავნე ფანტაზია.

თუ ჩვენს ერსა და სახელმწიფოებრიობას შენარჩუნება უწერია, მას გადაარჩენს არა არმია, არამედ მეზობელი ქვეყნების ინტერესების გათვალიწინება, ამ ინტერესების საფუძველზე ფრთხილი საგარეოპოლიტიკური თამაში და საქართველოს გადაქცევა რეგიონში ძალთა და ინტერესთა ბალანსის მნიშვნელოვან ფაქტორად. ამიტომ გამუდმებით ვიმეორებ, რომ ყველაზე მნიშვნელოვან, მაღალკვალიფიციურ, ფინანსურად უზრუნველყოფილ და აქტიურ უწყებას საქართველოში უნდა წარმოადგენდეს არა თავდაცვის, არამედ საგარეო საქმეთა სამინისტრო. სწორედ დიპლომატია და არა არმია შეიძლება გახდეს რეგიონში ჩვენი მნიშვნელობისა და უსაფრთხოების საფუძველი.

მრგვალი მაგიდა თემაზე: აფხაზეთ-რუსეთის ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე: მოლოდინები, რეალიები, პერსპექტივები

17 მაისს სოხუმში გაიმართა პირველი აფხაზურ-რუსული მრგვალი მაგიდა თემაზე: "აფხაზეთ-რუსეთის ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე: მოლოდინები, რეალიები, პერსპექტივები", რომელიც ორგანიზებული იქნა აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული ახალგაზრდა დიპლომატთა საბჭოს მიერ.

ახალგაზრდა დიპლომატთა საბჭოს თავმჯდომარემ ამინა ლაზბამ აღნიშნა, რომ საბჭო სულ ერთი წლისაა, მაგრამ მან უკვე მოასწრო რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული ახალგაზრდა დიპლომატთა საბჭოსთან თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დადება.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდა დიპლომატთა საბჭოს თავმჯდომარის კ.კოლპაკოვის თქმით, მსგავსი კონფერენციები რეგულარულად უნდა ტარდებოდეს.

მრგვალი მაგიდა ხუთ სესიად იქნა დაყოფილი. პირველი სესია გახსნა აფხაზეთის ე. წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიაჩესლავ ჩირიკბამ. ასევე მოხსენებებით გამოვიდნენ ა. სკაკოვი, ა. ავიძბა, ო. დამენია და სხვ.

დიპლომატიური მუშაკის დღეს აფხაზეთში 1993 წლის 17 მაისიდან აღნიშნავენ. ამ დღეს ხელი მოეწერა დადგენილებას აფხაზეთის ე. წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს შექმნის შესახებ, წერს აფხაზური სააგენტო.

ირმა ინაშვილი: „სამეგრელოში ნაცისტებმა სრული კრახი განიცადეს! სამეგრელო, მაგრად მიყვარხარ!

უკვე ყველასათვის ნათელია, რომ ავადსახსენებელი **"ნაციონალური მოძრაობა"**, რომელიც ცხრა წის მანძილზე დაშნაკურად ძალადობდა ქართველ ხალხზე (ვერ ვიტყვით **"საკუთარ"** ხალხზე-თქო, რადგან ეთნიკურად ისინი რომ ქართველები არ არიან, ეს უკვე ყველამ იცის) უკვე ჯიუტად მიიწევენ პოლიტიკური სამარისაკენ. მათი მოქმედების ძირითადი იარაღი იყო ხალხში დათესილი შიში და ადმინისტრაციული რესურსი, რომელსაც არაკეთილსინდისიერად იყენებდნენ საზოგადოების სრული დეგრადირებისათვის. ახლა კი, როცა ქართველმა ხალხმა მათ ეს იარაღი ჩამოართვა, ძველებური შემართებით ვეღარ ებრძვიან ქართველ ხალხს, თუმცა, იხტიბარს მაინც არ იტეხენ და დაშნაკური უტიფრობით ცდილობენ საზოგადოების დარწმუნებას იმაში, რომ ისინი კვლავაც წარმატებულ და მოთხოვნად პოლიტიკურ ძალას წარმოადგენენ და მალე ისევ დაბრუნდებიან საქართველოს ხელისუფლებაში. არ ვიცით, თავად სჯერათ თუ არა ამ ნაბოდვარის, მაგრამ ფაქტია, რომ დროდადრო წამოჭეოფენ ხოლმე თავს წელში გადამტვრეული გველებივით ქვეყნის ამა თუ იმ რაიონში. მათ შორის შედარებით პრაგმატულებმა კარგად იციან, რომ ნაცების პოლიტიკური მზე სამუდამოდ არის ჩასვენებული და თანდათან ტოვებენ მოძრაობას, მთავარმა დაშნაკმა სააკაშვილმა კი იმდენი მოახერხა, რომ ოდესის გუბერნატორად გაძვრა და იქიდან გვითვლის მუქარას! ნაციონალთა უმწეო ფაფხურზე ამას წინათ ინფორმაცია გამოაქვეყნა სააგენტო **"საქინფორმმა"**, რომელშიც საქართველოს **„პატრიოტთა ალიანსის"** გენერალური მდივანი ირმა ინაშვილი სოციალურ ქსელში სამეგრელოში **„ნაციონალური მოძრაობის"** ორგანიზებით გამართული აქციის ფოტოსურათს აქვეყნებს, სადაც ჩანს, თუ რა მცირე რაოდენობის მხარდამჭერები არიან გასულები აქციაზე.

„სამეგრელოში ნაცისტებმა სრული კრახი განიცადეს! სამეგრელო, მაგრად მიყვარხარ! ნაცისტებო, დამთავრდით, გაიგეთ, ბოლოს და ბოლოს... პოლიცია რა საყვარლად გიცავთ?" – წერს ინაშვილი.

რაც შეეხება იმას, თუ რამდენად **"მყარად"** დგას ფეხზე სააკაშვილი ოდესაში, მეტყველებს კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელიც ამას წინათ გამოჩნდა უკრაინულ მედიაში **(სლოვო.ნეტ.უა)**, სადაც მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით ვლადიმერ გროისმანისა და პოროშენკოს ფარული ჩანაწერია გასაჯაროებული. ამ ჩანაწერში უკრაინის პრეზიდენტი რადას თავჯდომარის მიერ გამოთქმული ეჭვის საპასუხოდ, რომ საქართველოს ექსპრეზიდენტი უკრაინის პრეზიდენტის სავარძელს უმიზნებს, აცხადებს:

„თუ ძალიან გათავხედდა, ოდესაში ჩვენი ხალხი გააკონტროლებს და რუსებიც ჰალსტუხებს მიუყრიან შესაჭმელად. შენ ხომ იცი, მიშამ მაკეინთან ერთად ყველას ტვინი გაუბურღა და იარაღი მათი მეშვეობით შემოდის. მისი ცოლი ადამიანის ორგანოებით ვაჭრობს. ბინძური მაქინაციების მთელი ბუკეტია. ნებისმიერ დროს შეგვიძლია ვამხილოთ დანაშაულებებში და გადავცეთ ქართველებს. დაიმახსოვრე! „ჩერნოჟოპები" უკრაინას თავზე ვერასდროს დააჯდებიან... მოდი ვაცალოთ და იმუშაოს სანამ გვჭირდება", – ნათქვამია, კერძოდ, ჩანაწერში.

ნუთუ კიდევ ვინმეს ეპარება ეჭვი, რომ საქართველოსა და უკრაინაში ევროამერიკელების მიერ წაქეზებული სააკაშვილისა და ნაცების აღვირახსნილ პარპაშს მალე მოეღება ბოლო?!

მთავრობის ადმინისტრაციამ აიღო ვალდებულება

ამის შესახებ პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა ღია მმართველობის პარტნიორობის ევროპის რეგიონალური კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

პრემიერის თქმით, მმართველობის საკითხებში მოქალაქეთა მზარდი ჩართულობის კარგი გამოხატულებაა ის საზოგადოებრივი ცენტრებიც, რომლებსაც იუსტიციის სამინისტრო მცირერიცხოვან დასახლებულ პუნქტებში აშენებს.

„ეს ცენტრები გამიზნულია იმისათვის, რომ მოქალაქეებს ადგილზე ერთი ფანჯრის პრინციპით მიეწოდოთ საჯარო და კერძო სწრაფი სერვისები, ასევე ერთიან სოციალურ-კულტურულ და საკომუნიკაციო სივრცედ ჩამოყალიბდეს ბიბლიოთეკები, მათ შორის ელექტრონული ბიბლიოთეკები, უფასო კომპიუტერები და ინტერნეტი. ჩემი მიზანია, რომ ეს სერვისები მხოლოდ დიდი ქალაქების ფუფუნება არ იყოს", – აღნიშნა პრემიერმა.

„ჩვენ ვართ მოტივირებული, საქართველო გარდავქმნათ ევროპული ტიპის დემოკრატიულ სახელმწიფოდ. მჯერა, თქვენი ჩართულობა იქნება ძალიან აქტიური. ჩვენ გვაქვს სტრატეგიული პარტნიორების – აშშ-ის, ევროკავშირის მხარდაჭერა, რომ რეალური დემოკრატია დამკვიდრდეს საქართველოში", – მიმართა პრემიერმა OGP-ის კონფერენციის მონაწილეებს.

საქინფორმი

ევროკავშირმა უვიზო მიმოსვლა სამოასთან, ვანუატუსთან, სენტ-ლუსიასთან შემოიღო

არც ისე მარტივად გვქონია საქმე, როგორც ჩვენ აქამომდე გვეგონა – გახსოვთ ალბათ როგორ ქირქილებდნენ ნაციონალები იმ ფაქტზე, რომ ვანუატუს რესპუბლიკამ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობა აღიარა. თურმე ვანუატუს საქართველოზე ბევრად მეტი საერთაშორისო ავტორიტეტი ჰქონია იმ ევროპელთა თვალში, რომელთაც ჩვენს მოთხოვნაზე ევროპის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით საკმაოდ მსუყე ბრანწი გვიჩვენეს.

ევროკავშირს უვიზო მიმოსვლა შემოაქვს შვიდ სახელმწიფოსთან – გვაუწყებს ევროკავშირის ოფიციალური საიტი.

შესაბამისი ხელშეკრულებები უკვე ხელმოწერილია.

ეს შვიდი ქვეყანაა: **ვანუატუ, სენტ-ლუსია, დომინიკა, გრენადა, ტრინიდადი და ტობაგო, სენტ-ვინსენტი და გრენადინები,** აგრეთვე **სამოა.**

"აღნიშნული ხელშეკრულებები სტიმულს მისცემენ საერთაშორისო კონტაქტების, ტურისტული ინდუსტრიის და ბიზნესის განვითარებას, ევროკავშირს და ამ ქვეყნებს შორის", – ნათქვამია ოფიციალურ შეტყობინებაში.

უვიზო რეჟიმით სარგებლობა შესაძლებელია სამი თვის მანძილზე, ყოველ 6 თვეში. ხელშეკრულების მოქმედება არ ვრცელდება ირლანდიასა და დიდ ბრიტანეთზე, რადგან ამ ქვეყნებს საკუთარი სავიზო კანონმდებლობა გააჩნიათ.

აღნიშნული ხელშეკრულება, ჯერ კიდევ ევროპარლამენტის რატიფიკაციას საჭიროებს, თუმცა უვიზო რეჟიმმა ფაქტიურად მოქმედება დაიწყო უკვე 28 მაისიდან.

ასე რომ, ქართველებს ვანუატელობაც კი სანატრელი გაგვიხდა!

რუსეთში საქართველოს იმიჯის გასამყარებლად

რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გაზეთის, **"კომსომოლსკაია პრავდას"** სპეციალური კორესპონდენტი გალინა საპოჟნიკოვა ცოტა ხნის წინ საქართველოში იმყოფებოდა, რათა გაერკვია, თუ რეალურად როგორია ქართველების დამოკიდებულება დიდი სამამულო ომისადმი, ქართულ-რუსული ურთიერთობების ისტორიისა და მომავლისადმი, რუსი ერისადმი.

ჟურნალისტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი სწორად გაერკვა ვითარებაში: ქართველების დიდი უმრავლესობა რუს ერს არ მიიჩნევს მტრად, პატივს მიაგებს დიდი სამამულო ომის გმირებს და სურს, ნორმალური ურთიერთობები იყოს მეზობელ რუსეთთან. ხოლო ის ჯგუფები, რომლებიც ქართულ-რუსული ურთიერთობებისადმი მტრულად არიან განწყობილნი, უღირსად იქცევიან და შეურაცხყოფენ დიდი სამამულო ომის სიმბოლიკას, მარგინალები არიან.

არ შედგა საქართველოს მტრების პროვოკაცია: გვარი ქანთარია, მათი ნების საწინააღმდეგოდ, რუსი ადამიანების ცნობიერებაში დაკავშირებული იქნება ომში ერთიანობასთან, ჩვენი წინაპრების გმირობასთან. ანუ ისე, როგორც უნდა იყოს.

ამრიგად, რუსულმა გამოცემამ აქცენტი პოზიტიურ მომენტებზე გააკეთა, რითაც რუსეთში საქართველოს დადებითი იმიჯის გამყარებას შეუწყო ხელი. შეიძლება, გალინა საპოჟნიკოვას რეპორტაჟში ქართველი მკითხველებიდან ვინმეს რომელიმე პასაჟი არ მოეწონოს, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარია საქართველოს იმიჯი რუსეთში, რომელიც უნდა გამყარდეს.

სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლება ამ მხრივ არაფერს აკეთებს. ამიტომ ისევ ჩვენ, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მათ შორის კი წინა პლანზე ევრაზიის ინსტიტუტი დგას, გვიწევს ამ მძიმე ამოცანის განხორციელება. რუსულ პრესაში საქართველოს შესახებ პოზიტიური ინფორმაციების გასვლა კეთილსინდისიერი რუსი ჟურნალისტების სურვილია და, ამასთან ერთად, ჩვენი დამსახურებაც არის.

მათ ჯერ კიდევ მოზარდობისას მოათავსეს მაკდონალდსის ბუტერბროდი კოლოფში... 20 წლის მერე გაშეშდნენ!

საგანგაშო ინფორმაცია ჰამბურგერზე, ჰოთდოგსა და შაურმაზე! რატომ არ უნდა აჭამოთ ბავშვებს ჩიპსები და კარტოფილი ფრი

ალბათ არაერთხელ გაგიგონიათ სწრაფი კვების მავნებლობის შესახებ, ასევე მსოფლიოში ცნობილი ბრენდის ასეთივე ცნობილი ჰამბურგერებისა და ჩიზბურგერების საეჭვო შემადგენლობის ამბავი. დრო და დრო ვრცელდება ხოლმე გამაოგნებელი ინფორმაცია, თუ რას, როგორ და რანაირად აკეთებენ და როგორ ინახავენ, თუმცა ამის გამო არც მაკდონალდს აკლდება კლიენტი და არც თუნდაც კოკა-კოლას. თუმცა ეს სიახლე მაინც განსაკუთრებულია.

ორმა ავსტრალიელმა ბიჭმა საკუთარი ექსპერიმენტი ჩაატარა და დაადასტურა, რომ მაკდონალდსის საკვები არა მხოლოდ მავნეა, არამედ საერთოდაც არ შეიძლება მისი მოხმარება.

შორეულ 1995 წელს კეისი დინი და ედვარდ ნიცი ჯერ კიდევ მოზარდები იყვნენ და უცნაური იდეა გაუჩნდათ.

ერთხელ ბურგერი იყიდეს და ერთი ცალი გადაურჩათ. უცებ მოიფიქრეს, რომ ასევე დაეტოვებინათ და მერე, 20 წლის შემდეგ ენახათ, რა დაემართებოდა. ასეც მოიქცნენ.

20 წელი გავიდა და გაახსენდათ ჰამბურგერი, რომელიც... ზუსტად ისეა, როგორც ერთ დროს შეინახეს. თანაც, მაცივარშიც კი არ ჰქონიათ – ჩვეულებრივ კოლოფში ედოთ.

თავადვე სვამენ შეკითხვებს: **„მაინც რას უკეთებენ ასეთს ამ ჰამბურგერებს, რომ ასე დიდხანს ძლებს? ნუთუ აბალზამებენ? საშინელებაა!"**

სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ არის. ისლანდიელმა ჰერტურ სმარასონმა 2009 წელს იყიდა ჩიზბურგერი, რომელიც წელს იანვარში უჩვენა საზოგადოებას – როგორც ივარაუდებოდა, 5 წელიწადში ჩიზბურგერს არაფერი შეცვლია...

ნამდვილად გაუგებარია – ქართველებს რომ სახელდახელო სასუსნავები გაგვაჩნია (ხაჭაპურს და სხვადასხვა სახის უგემრიელეს ღვეზელებს რომ თავი გავანებოთ), რატომ უნდა ვიწევდეთ მაინცდამაინც **"მაკდონალდსის"** იმ ბალზამირებული ჰამბურგერებისა და ჩიზბურგერებისაკენ, რომელსაც მსახვრალი დროც კი ვერაფერს აკლებს?!

ეს სტატია, ყველამ უნდა წაიკითხოს!

"ისტორიის გამრუდებული სარკე"

(ანუ, როგორ ალამაზებენ თურქები საკუთარ ისტორიას და როგორ ვამახინჯებთ ქართველები საკუთარ ისტორიას)

გაზეთ "ილორის" წინა ნომერში გამოქვეყნდა წერილი ამ სათაურით, რასაც აქტიურ მკითხველთა გამოხმაურება მოჰყვა.

ვაქვეყნებთ ზოგიერთ მათგანს:

დიდი ხანი ველოდი, ამ თემაზე, სერიოზული სტატიის გამოჩენას. ბატონმა როლანდ ჯალაღანიამ არ დაახანა და იგი გამოჩნდა, ისე როგორც უნდა გამოჩენილიყო!

დღევანდელი ქართული საინფორმაციო საშუალებები წალეკა ყველაფერზე და არაფერზე, ყველაფრის და არაფრის წერამ და თქმამ. ყველაფერზე იწერება და ითქმება დღეს, ქართულ-ეროვნულ სატკივართა გარდა, რომელთა სათავე (არა აქვს მნიშვნელობა, ეკონომიკა იქნება იგი, თუ ზნეობა) ერის ისტორიის გაყალბებასა და დაკნინებაში დევს, როგორც ეს ბატონმა როლანდმა დაგვისურათხატა თურქების მიერ, თითქმის ცარიელ ადგილზე, თავდაუზოგავი გარჯით „შექმნილი", 300-ზე მეტ სერიანი ფილმის უაღრესად მაღალპროფესიულ დონეზე გარჩევით და არ გადავამეტებ თუ ვიტყვი, – ქრესტომათიულ დონეზე დაწერილ ნაშრომში **„როგორ ალამაზებენ თურქები საკუთარ ისტორიას და როგორ ვამახინჯებთ ქართველები საკუთარს!!!"**

ძალზე რთულია, ამ მაღალი დონის მეცნიერულ კვლევას მოკლე კომენტარი გაუკეთო, ისევე, როგორც მასზე მარტივად არ ითქმის, – კარგია! ან ძალიან კარგია!

ამ თემას სერიოზული ფიქრი სჭირდება, მით უმეტეს ამ ნაშრომის ავ-კარგიანობაზე წერას!

აქვე აღვნიშნავ, – ამ თემაზე უნდა წერონ, მხოლოდ იმათმა, ვინაც, აბსოლუტურად თავისუფალია ვინმეს ზეწოლისგან და რაიმე მერკანტელური ფიქრებისგან!

სამშობლოზე ფიქრს და თავდადებას რომ სიმდიდრე და სრა-სასახლეები არ მოაქვს, **„თავისუფალი საქართველოს"** პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტის და ხელისუფლების გაელილი გზა ნათელყოფს!

შეადარეთ იგი, 1992 წლის 6 იანვარს, თავისუფლებაწართმეული საქართველოს შემდგომი მმართველების და მათი მთავრობების ნამოქმედარს, რასაც ჩვენი სამშობლოს აწმყოსა და წარსულის, ეროვნული, ისტორიული ღირებულებების უმოწყალოდ დაკნინება, ათასწლოვანი ტრადიციების აბუჩად აგდება და მის ადგილზე,– **„ევრო-ამრიკული"** მდარე, უსახური და უხარისხო **„პროდუქტი"**-ს შემოთავაზება მოჰყვა!

დროებით, აქ ვსვამ წერტილს. უახლოეს დღეებში მას აუცილებლად მივუბრუნდები!

რაც შეეხება ერთ-ერთი კომენტარს, უნდა აღვნიშნო, რომ ამ სტატიის ავტორის ჩანაფიქრი ის კი არ იყო, ქართველი მკითხველი გაენათლებინა, – თურქების იმპერატორი „მშიშარა" იყო თუ „უშიში ვითარცა უხორცო"!

აქ, სულ სხვა პრობლემასთან გვავს საქმე, რომელიც, მინიმუმ, – საუკუნეების წინანდელი უკანდახევით უნდა დავიწყოთ, რომელიც, რა თქმა უნდა შესაძლებელია, მაგრამ განუხორციელებელი, რადგან, საქართველოს, ჩვენს სამშობლოს, მსგავსი, სახელმწიფოებრივი წინდახედულობის პროგრამა არ გააჩნია!

– თურქები, ყოვლგვარი პრობლემის გარეშე ახერხებენ საკუთარი, თუნდაც ისტორიულად არარსებული „ეროვნული გმირების" თავდაჯერებით გამოყვანას (ჩვენი მეზობელი სომხების მსგავსად), მსოფლიოს, ლპობადი, ახალი წყობის საზოგადოების წინაშე, ვიდრე, – საკუთარი ისტორიის დამამშვენებელი წინაპრების, წინააღმდეგ ბრძოლით განთქმული ქართველები!

აქვე უნდა აღვნიშნო, იგი საინტერესოა, მაგრამ ბ-ნი რ.ჯალარანიას ნაშრომისგან განსხვავებული.

არცერთ ქართველი სტორიკოსს, ჩვენი (საუკუნეების მანძილზე არაკეთილისმსურველი!) მეზობელი ერის ისტორიის მნიშვნელოვანი მონაკვეთი ასე ღრმა შინაარსიანად არ განუხილავს!

ჩემი შეფასებით, ბ-ნი რ.ჯალაღანიას სტატია „მასტერკლასია" ქართველი ისტორიკოსებისთვის!

უფრო მეტიც, – იგი ისევე უცხოა მათთვის, როგორც აფხაზეთის და სამაჩაბლოს მსგავსი, თითქმის საუკუნისწინანდელი, სამხრეთ ტიროლის ტრაგიკული ისტორია!

...თურქმა რეჟისორმა, ერთ-ერთ სერიაში მეგრულ-ლაზური „ნანაც" ჩაურთო მუსიკალურ სამშვენისად და მასზე სიტყვა არავის დაუძრავს, თუმცა ამის შესახებ, ასევე შარშან, ვწერდი საგაზეთო სტატიაში!!!

როგორც საუბრის დასაწყისში ვთქვი,– **ეს სტატია ყველამ უნდა წაიკითხოს!**

დავით ქობალია

მეტი სიფრთხილე გვმართებს!

ფრიად საინტერესო და ღრმად მამულიშვილური წერილია, რომელიც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რამდენად აუცილებელია მეზობლებთან ურთიერთობაში უაღრესი სიფრთხილე. ამის დასტურია თუნდაც გიორგი საკაძისა და მისი შვილის სამწუხარო აღსასრული (მათ თავები მოჭკვეთეს) და თითქმის მათი თანამედროვის ოთარ შალიკაშვილის ოჯახის თავზე დამტყდარი უბედურება. ოთარის ქალიშვილის (ოსმალეთის სულთნის ხარჭის) ქმრის სიკვდილის შემდეგ ტახტი მისმა მემკვიდრემ – ოთარის შვილიშვილმა დაიკავა, მაგრამ როგორც კი ოთარი გარდაიცვალა, მისი შვილიშვილი დაამხეს და ოთარის შვილი – **კლდია** იძულებული გახდა იმერეთში გაქცეულიყო და მას სოფელი სიმონეთი უბოძეს. სწორედ მისგან მოდის საქართველოში **კლდიაშვილების** გვარი.

ალექსანდრე შენგელია

ფაქტს ვერსად გაექცევიან

სულეიმანი 100-პროცენტიანი მშიშარა იმპერატორი იყო... რაც არ უნდა აყალბონ, ამ ფაქტს ვერსად გაექცევიან. რეჟისორებმა არაფრის მაქნისი კაცი საქმიან ადამიანად გახადეს... იმპერია ბერძენმა ვეზირმა გაუძლიერა, რომელიც მოაკვლევინა, ცოლმა კი თავის ჭკუაზე არბენინა...

მამუკა ლობჟანიძე

მიჩუმათებას თუ გალამაზებას არ მოაქვს დადებითი შედეგი

სრულიად ვეთანხმები ავტორს. მიმაჩნია, რომ ისტორია უნდა იყოს აღწერილი ისე როგორც არის სინამდვილეში, მოგვწონს ეს თუ არა. არც თუ ისე სასიამოვნო მომენტები არის ყველა ხალხის ისტორიაში, ასევე ჩვენსაში, მაგრამ მათ მიჩუმათებას თუ გალამაზებას არ მოაქვს დადებითი შედეგი.

ლავრენტი შენგელაია

ბ-ნ ლავრენტი შენგელაიას:

უსიტყვოდ გეთანხმებით ბატონო ლავრენტ, ისტორია რომ არ უნდა გაყალბდეს, ეს აქსიომაა, თუ კი უკეთესი მომავალი აქვს ერს დასახული, მაგრამ ისტორიას ყველა დროს და თითქმის ყველგან ალამაზებდნენ და ასე იქცევიან დღესაც!..

– მაგრამ, სულ სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე, ბატონი როლანდ ჯალაღანიას სტატიაში!

ბატონი როლანდი, სტატიის დასაწყისშივე გასცდა (მიუხედავად მისი კინომცოდნეობისა!), ფილმის ავ-კარგიანობას, უთქმელად აგრძნობინა მკითხველს,– ამაზე, მისი რეჟისორის თურქმა თანამემამულეებმა იფიქრონო და სულ სხვა სირცეში გადაიყვანა და თითქმის პასუხგაუცემელი კითხვა გაუჩინა:

„როგორ ალამაზებენ თურქები საკუთარ ისტორიას და როგორ ვამახინჯებთ ქართველები საკუთარს!!!"

– რატომ ხდება ასე?

ზემოთ, უკვე ვთქვი, – ისტორიას, ყველა დროს და თითქმის ყველგან ალამაზებენმეთქი, მაგრამ აქვე უნდა დავამატო, არიან ერები, რომლებსაც ისტორიის საგანგებოდ საამაყო ფურცლები არ გააჩნიათ და ისინი ხელოვნურად ქმნიან მას, ეკრანიზაციასაც უკეთებენ და გარესამყაროსაც ასე აცნობენ!

– მე მესმის, რასაც ახლა ვიტყვი, ქართველისთვის (განსაკუთრებით ევროამერიკულ სკოლა გავლილთათვის!) ძნელი წარმოსადგენია, – ასეთ, ხელოვნურად შექმნილ **„ეროვნულ გმირებს"** ერთი კაციც კი არ გამოუჩნდება მოწინააღმდეგე საკუთარ ქვეყანაში, – პირიქით, მის ქებადიდებას და საზოგადოებაში დამკვიდრებას ცდილობს დიდი და პატარა!

– რა ხდება მსგავს შემთხვევაში საქართველოში?

– ღმერთმა დაგვიფაროს მოგონილი, – ისტორიულად დადასტურებულის და უცხო ქვეყნის მემატიანეების მიერ, დიდებით მოხსენიებული ქართველი გმირების ხსენებას არ გვპატიობს, ჩვენი ჯიში და ჩვენი ჯილაგი!

შესაძლოა, ვინმემ წამომაწიოს,– მასეთების ჯილაგიც გაწყვეტილაო!..

მაგრამ, არ დავეთანხმები, რადგან, მათი მომრავლება, თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე, ჩვენი სამშობლოს გზასაცდენილობის შედეგია, თორემ, როგორ შეიძლება დიდი ნიკო კეცხოველის ნათქვამი:

– **„თუ რომელიმე ერს ისტორია არ აქვს აჩუქეთ „დავით გარეჯი" და დიდებული წარსული ექნებაო!"**, ქართული ისტორიის დედად წოდებულ, ქ-ნ მარიამ ლორთქიფანიძეს არ ახსოვდეს და, როცა **„დავით-გარეჯის"** უძველეს ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ სავანეს, მაჰმადიანი აზერბაიჯანი გვედავება, **„ბრძნული"** სიტყვა დააგდოს,– **„რა მოხდა მერე, ორივე ქვეყანა მორიგდეს და ერთად მოიხმარონ ტურისტების მისაღებადო!"**

– როგორ შეილება, ნახევარი მსოფლიო (მათ შორის გერმანული, მსოფლიო არქეოლოგიის სკოლის წარმომადგენლები) გიმტკიცებდეს, – **„საყდრისის ოქროს მადარო უძველესია მსოფლიოში, იგი მარტო თქვენი არ არის და კაცობრიობის მომავალს შეუნარჩუნეო!"** და შენ მაინც აფეთქებ!

– როგორ შეიძლება, ასი წლის მანძილზე, ასეულობით, მსოფლიოში აღიარებულ ენათმეცნიერთა თავსატეხის **„ფესტოსის დისკოს"** ამომხსნელს, ბატონ გია კვაშილავას, იგივე მეცნიერები უნიკალურ წარმატებას ულოცავდეს, საკუთარ სამშობლოში კი,– ეჭვს ქვეშ აყენებდნენ მის ნამდვილობას?

– როგორ შეიძლება საკუთარ სამშობლოში, მეგრულ, სვანურ, ლაზურ ენებს ებრძოდე და თურქი, მეგრულ-ლაზური ფოლკლორის უბადლო ნიმუშს საკუთარი 300 სერიანი ფილმის სამშვენისად იყენებდეს?

უსასრულოდ შეიძლება გავაგრძელოთ, – როგორ შეიძლება?!. მაგრამ, ეგ უკვე ცდება კომენტარის ფორმატს, როგორც კი თავისუფალ დროს ვიპოვი, ამ თემას მეტი ყურადღებით მივუბრუნდები!

იმედი მაქვს ზედაპირულად მაინც გავეცი პასუხი, კომენტარის დასაწყისში დასმულ კითხვას პასუხი:

„როგორ ალამაზებენ თურქები საკუთარ ისტორიას და როგორ ვამახინჯებთ ქართველები საკუთარს!!!"

– რატომ ხდება ასე?

დავით ქობალია

მოდას აყოლილნი...

აბსოლუტურად რეალურადაა წარმოჩენილი ის პრობლემა, რასაც ყველა ჭეშმარიტად პატრიოტი ქართველი განიცდის, ქვეყნის ისტორიისადმი ამჟამინდელი ქართველის დამოკიდებულება, ადამიანების რომელთაც არც ერთი ისტორიული წიგნი ან კვლევა არ წაუკითხავთ, მაგრამ მაინც გულმოდგინედ აკრიტიკებენ ჩვენს ქვეყანას და მის წარსულს.... ყურმოკვრით გაგებულ დამახინჯებულ ისტორიულ ფაქტზე აგებენ საკუთარ შეხედულებებს და მოდას აყოლილნი ძირითადად კრიტიკითა და ქილიკით შემოიფარგლებიან...

მაია რეხვიაშვილი

საინტერესო და ტრაგიკული გზა

საგულისხმოა, რომ ინტრიგანს ჰიურემს ამხელა სერიალი მიუძღვნეს (მინი სერიალიც არსებობს), მაგრამ უჭკვიანეს და სათნო გურჯი ხათუნზე კი ერთი ციცქნა ფილმიც კი არ გადაუღიათ. ამ დროს არაჩვეულებრივად საინტერესო და ტრაგიკული გზა განვლო და გამოჩენილი მოღვაწეც გახლდათ. იქნებ იმიტომ რომ სელჯუკთა დედოფალი იყო, ხოლო თანამედროვე თურქეთი ოსმანთა მემკვიდრეობას ემყარება? ჩვენებიც არ ინძრევიან და "ჩემი ცოლის დაქალებზე" იხარჯებიან.

მედეა გოქსაძე

რაულ ხაჯიმბას კომენტარი

რაულ ხაჯიმბამ აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი ხელმძღვანელის წარდგენისას კომენტარი გააკეთა ე. წ. სახელმწიფო დაცვის სამსახურის მეშვიდე განყოფილების დაშლასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ თავად ე. წ. შინაგან საქმეთა სამინისტრო დაკავშირებულია ამ დღეებში მომხდარ ინციდენტთან. მისი თქმით, შინაგან საქმეთა ორგანოების წარმომადგენლებს მომავალშიც მკაცრად მოეკითხებათ მსგავსი საქციელის გამო.

„სხვადასხვა ძალოვანი უწყებების თანამშრომლებმა გარჩევებში მონაწილეობა არ უნდა მიიღონ. ეს სამარცხვინოა. ამის გამო ჩვენ მკაცრ ზომებს მივიღებთ. არავითარი სხვა მიდგომა არ იქნება. მე მივიღე გადაწყვეტილება და დავშალე ჩემი პირადი განყოფილება, რომელსაც ასევე ურთიერთობა ჰქონდა მომხდარ ინციდენტთან",– განაცხადა ხაჯიმბამ.

როგორც ცნობილია, 14 მაისს რ. ხაჯიმბამ ხელი მოაწერა ბრძანებას სახელმწიფო დაცვის სამსახურის შემადგენლობიდან მეშვიდე განყოფილების გამოყავანასთან დაკავშირებით. აღნიშნული გადაწყვეტილება სოხუმში ორი ძალოვან უწყების წარმომადგენლებს შორის მომხდარ დაპირისპირებას უკავშირდება.

აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ნიკარაგუაში ოფისის გახსნას გეგმავს

17 მაისს ოკუპირებულ აფხაზეთში დიპლომატის დღე აღინიშნა. ამასთან დაკავშირებით ე. წ. საგარეო საქმეთა სამინისტროში მიღება მოეწყო

მიღებაზე ე. წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. ჩირიკბამ აღნიშნა, რომ აფხაზეთის დიპლომატების წინაშე მნიშვნელოვანი ამოცანები დგას, რომელიც უკავშირდება საზღვარგარეთელ პარტნიორებთან ურთიერთობის დამყარებას. მისი თქმით, აფხაზეთის ე. წ. საგარეო საქმეთა სამინისტრო კონტაქტებს ამყარებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან. მან გაიხსენა აფხაზური დელეგაციის სტუმრობა ვენესუელაში, ნაურუს პარლამენტის სპიკერთან და ვიცე-პრეზიდენტთან, ფიჯის და ვანუატუს საგარეო საქმეთა მინისტრებთან შეხვედრები.

„ჩვენ ვაღრმავებთა კავშირებს სამხრეთ ოსეთთან, დნესტრისპირეთთან, მთიან ყარაბახთან. მომავალში ვგეგმავთ ნიკარაგუაში ოფისის გახსნას. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ თანამშრომლობას აფხაზურ დიასპორასთან, რომელიც აფხაზეთის საგარეო-პოლიტიკური რესურსია",– აღნიშნა ჩირიკბამ

არტურ მიქვაბიამ აფხაზური უნივერსიტეტი დაათვალიერა

აფხაზური მთავრობის თავმჯდომარე უნივერსიტეტის შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის რექტორმა ალეკო გვარამიამ, რუსეთის პრეზიდენტის დსთ-ს ქვეყნებთან სოციალურ-ეკონომიკური თანამშრომლობის სამმართველოს უფროსის მოადგილემ დენის ტრავინმა, აფხაზეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილემ ასტამურ აპაბამ, კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსმა ბესლან აგრბამ.

პრემიერის თქმით, მშენებლობის ტემპები გაძლიერდება. გრაფიკისგან ჩამორჩენა აღმოიფხვრება.

ᲗᲣ ᲛᲖᲐᲓ ᲕᲐᲠᲗ, ᲕᲐᲚᲘᲐᲠᲝᲗ...

განათლების სისტემაში ყოველგვარი ცვლილების შედეგს დრო სჭირდება, ზოგჯერ საკმაოდ დიდიც. საქართველოს განათლების სისტემის 12-წლიანი წარუმატებელი ფსევდო-რეფორმის შემდეგ, დროის გაყვანის ხერხს მიმართეს. ეს კი, არანორმალური მდგომარეობაა.

კომუნისტური რეჟიმის პერიოდში სკოლებში ტარდებოდა საატესტატო გამოცდა. არაობიექტურობის გამო ვერ გაამართლა, ამიტომ რეფორმამდე შეწყვიტეს. რეფორმა კი დაიწყო საატესტატო გამოცდების გარეშე. რეფორმის მიწურულს იგი იმდენად წარუმატებელი აღმოჩნდა, რომ მოსწავლეებმა სკოლაში სიარული მიატოვეს. სკოლიდან მოსწავლეების გაქცევის შესაჩერებლად და დროის გაყვანის მიზნით შემოიღეს ადრე უარყოფილი საატესტატო გამოცდა. დღეს არსებული საატესტატო გამოცდა იმდენად გაუფასურებულია, რომ იგი დასაცინი გახდა მოსწავლეებისათვის და შეურაცხმყოფელი მასწავლებლებისათვის.

მაინც რას ემსახურება საატესტატო გამოცდა? ალბათ ერთადერთ მიზანს – შეუქმნას მოსწავლეებს გადამეტებული თვითშეფასება და მოტივაცია, გახდნენ სტუდენტები. ეს მისია, საატესტატო გამოცდებმა, წარმატებით შეასრულა.

საატესტატო გამოცდებზე არანაკლებ დასაცინი, გაუფასურებული და შეურაცხმყოფელია უმაღლესში მისაღები გამოცდები და მისი შედეგები. ყველაზე უპრიანია გავეცნოთ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის – მაია მიმინოშვილის ინტერვიუს:

I. "კარგია 28.401 სტუდენტი, რომ გვყავს საქართველოში".

II. "მაგრამ მეორე საკითხია რამდენად გვაკმაყოფილებს მათი შედეგები და მიღწევები"

III. "ეს ნამდვილად არ არის ის, რის მიღწევასაც ვცდილობდით".

სამ აბზაციან, სამ წინადადებაში ადვილი შესამჩნევია, რომ რესპოდენტი რაღაცას მალავს, არ ამხელს, მინიშნებებს გვაძლევს.

მინიშნება I. **" კარგია 28401 სტუდენტი"**-ს ნაცვლად რესპოდენტს უნდა ეთქვა: შეურაცხმყოფელია, სამარცხვინოა, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. კარგია, მინიშნება მაინც რომ მოგვცა, რომელიც შეიძლება ასე აიხსნას: განათლების სისტემა დაემსგავსა ზღაპარს, რომელიც არ იწყება სიტყვებით – იყო და არა იყო რა, მაგრამ ამ სიტყვებით კი მთავრდება.

მინიშნება II. **"შედეგებსა და მიღწევებში"** რესპოდენტი შეიძლება ორ რამეს გულისხმობდეს: 1. სწავლა-განათლებას; როგორც თავად ამბობს – **„2012 წელს და მის წინა წლებში 4-5 ათასამდე იყო, რიგ შემთხვევებში 6 ათასამდეც აღწევდა იმ აბიტურიენტთა რაოდენობა, რომლებმაც მოახერხეს სავალდებულო გამოცდებში ზღვრის გადალახვა, მაგრამ ვერ ჩაირიცხნენ უმაღლეს სასწავლებლებში."** 2. ეკონომიკურ მხარეს – 28.000-ზე მეტი სტუდენტის სწავლის ქირა ლამის ერთ მილიარდს აჭარბებს.

რესპოდენტი არც პირველ და არც მეორე **„შედეგებზე და მიღწევებზე"** არ ოცნებობდა. მას ეს არ **„აკმაყოფილებს"**. ამით მიგვანიშნა იმაზე, რომ სწავლა-განათლების გაუფასურების ხარჯზე დაიწყო ეკონომიკურ მოგებაზე ორიენტირებული, განათლების სისტემის ახალი ფსევდო-რეფორმა.

მინიშნება III. **"ეს ნამდვილად არ არის ის, – "ნიშნავს არანამდვილს, წარმოსახვითს, ანეგდოტს და ა.შ. რესპოდენტი კი სხვა რამის „მიღწევას ცდილობდა".**

ახლა განვიხილოთ ინტერვიუს მთავარი ნაწილი, რომლის სათაურია: **„თუ მზად ვართ ვაღიაროთ პრობლემები, ყველაფერი გამოსწორდება".**

რესპოდენტი სათაურშივე იძლევა მინიშნებას. წინადადება ჩვეულებრივ, მარცხნიდან მარჯვნივ იკითხება, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში, უკუღმა უნდა გავიგოთ: თუ მზად არ ვართ არ ვაღიაროთ პრობლემები, არაფერი არ გამოსწორდება.

ინტერვიუში ვკითხულობთ: **„ბუნებრივია, ვღელავდით, რადგან წელს ძალიან ბევრი აპლიკანტი გვყავდა"** (42.000). დიახ, ბუნებრივია არსებობს ღელვის საფუძველი, რადგან სასკოლო განათლების მხრივ, ჩვენ ქვის ხანიდან ახლად გამოსული ქვეყნების გვერდით ვდგავართ. ასეთ შემთხვევაში 42.000 აბიტურიენტი, ცოტა არ იყოს, უხერხულია.

რესპოდენტი სულ სხვა რამეზე ღელავს – როგორმე **„გამოიჭირონ"** აბიტურიენტები, სტუდენტებად აქციონ. სტუდენტი კი, ქრთამია, ფულია უმაღლესი სკოლებისა და ხელისუფლებისათვის.

„სიახლემ, რაც წელს აბიტურიენტებს შევთავაზეთ, ნამდვილად გაამართლა" – ვკითხულობთ წერილში; **„აბიტურიენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ მას შემდეგაც გაეკეთებინათ საბოლოო არჩევანი, რაც გაიგებდნენ საკუთარ შედეგებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე; 13 აგვისტოს ჩათვლით შეეძლოთ სურვილისამებრ შეეცვალათ უმაღლესი სასწავლებლების ფაკულტეტების რეიტინგული ჩამონათვალი. ამასთანავე, რეგისტრაციისას, შეუზღუდავი რაოდენობით, შეეძლოთ მიეთითებინათ ფაკულტეტი და უმაღლესი სასწავლებელი".**

მარტივი ეშმაკობით ჩართეს აბიტურიენტები, შარშან 56, წელს 72, მომავალ წელს ალბათ 100 და ა.შ. უმაღლესი სასწავლებლის მიერ გამოცხადებულ ერთიან საერთო კონკურსში. პრაქტიკული განხორციელებისათვის მიმართეს მეტად უცნაურ, შენიღბული ფორმის სიმულაციას.

საუბარია აბიტურიენტებზე, რომლებმაც მხოლოდ ბარიერის გადალახვა მოახერხეს. სინამდვილეში, მათ არჩევანის შანსი არ აქვთ. მათი ბედი სასწავლებლების ვაკანტურ ადგილებზეა დამოკიდებული.

2012 წელს და მის წინა წლებში, საშუალოდ 5000-ზე მეტი ბარიერგადალახული აბიტურიენტი უმაღლესი სასწავლებლის გარეთ რჩებოდა.

განათლების მესვეურთა ახალი ინიციატივები უზრუნველყოფს ბარიერგადალახული ყველა აბიტურიენტის ჩარიცხვას. ასეთი გამოცდები კი არის გაუფასურებული, აბიტურიენტებისათვის – სათამაშო, მასწავლებლებისათვის – შეურაცხმყოფელი.

„ძალიან მიხარია, ამან კარგად იმუშავა და ბუნებრივია, მომავალ წლებშიც, სანამ ამ ფორმით იქნება ერთიანი ეროვნული გამოცდები, ასეთივე შესაძლებლობას მივცემთ აბიტურიენტებს" – ასკვნის რესპოდენტი. მას ყურადღების მიღმა რჩება მთავარი, რომ ე.წ. რეფორმა, სწავლის, შრომისა და გარჯის გარეშე აძლევს აბიტურიენტებს გასტუდენტების შესაძლებლობას. ეს შესაძლებლობა კი არის:

1. ერთიანი ეროვნული გამოცდა;
2. მისაღები გამოცდების, ჯერ საგანნახევრიანი, შემდეგ ორსაგნიანი ნუსხა;.
3. მისაღები გამოცდები არა საგანში (ზოგად უნარებში);
4. მისაღები გამოცდების ალტერნატიული საგნების ნუსხა;
5. მინიმალურზე მინიმალური ბარიერი;
6. ოთხპასუხიანი ტესტები (ბარიერის შემთხვევითი გადალახვის შესაძლებლობა);
7. 56 უმაღლესი სასწავლებელი;
8. ახალი სლოგანი: **„ბარიერგადალახული ყველა აბიტურიენტი უმაღლეს სასწავლებელში!"**

რესპოდენტი მზადყოფნაზე საუბრობს... მე კი ვიტყოდი:

1. თუ მზად ვართ, ვაღიაროთ, რომ დაიწყო ახალი, ეკონომიკურ მოგებაზე ორიენტირებული, განათლების სისტემის ფსევდო-რეფორმა (განუსაზღვრელი ვადით).
2. თუ მზად ვართ, ვაღიაროთ, რომ ერთიანმა ეროვნულმა გამოცდებმა, მისაღები გამოცდების ნუსხამ, ალტერნატიული საგნების ნუსხამ, გამოცდამ ზოგად უნარებში ჩააგდო სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლება.
3. თუ მზად ვართ, ვაღიაროთ, რომ კომუნისტურმა რეჟიმმა გვაჯობა სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლებაში.
4. თუ მზად ვართ, ვაღიაროთ, რომ დღეს საქართველოში იმდენი უმაღლესი სასწავლებელია, რომელიც ეყოფა არათუ საქართველოს, არამედ ნებისმიერ 20 მილიონიან ქვეყანას.
5. თუ მზად ვართ, ვაღიაროთ, რომ განათლების სისტემა დღეს ადგას, სპორტში კარგად ნაცად – დროის გაყვანის ხერხს.

თუ მზად ვართ ვაღიაროთ!...

ᲓᲔᲛᲣᲠ ᲙᲣᲮᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ზუგდიდი, ჩხორიის საჯარო სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი

"ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲕ, ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲘ!"

ამ სათაურით გაზეთი "ასავალ-დასავალი" დღევანდელ ნომერში მკითხველს სამშენებლო ტექნიკისა და სარემონტო მასალების ჰიპერმარკეტ "დომინოს" შესახებ ვრცელ სტატიას სთავაზობს.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, სავაჭრო ცენტრ "დომინოს" მშენებლობა, რომელიც კახეთის გზატკეცილზე შენდება, 18 ჰექტარზე მიმდინარეობს. მშენებლობაზე 300 ადამიანია დასაქმებული. "ასავალ-დასავალი" დაინტერესდა, თუ ვინ არიან დასაქმებულები მშენებლობაზე და დღევანდელ ნომერში მკითხველს თითქმის ყველა იმ პირის ვინაობას უმხელს, თუ ვინ არიან ეს პირები.

როგორც გამოცემა აღნიშნავს, თითქმის ყველა დასაქმებული პირი "ნაციონალური მოძრაობის" დროინდელი ხელისუფლების შს სამინისტროს ყოფილი მაღალი თანამდებობის პირია, რომლებიც შს ყოფილ მინისტრთან – ვანო მერაბიშვილთან დაახლოებული პირები არიან. ამავე სტატიაში აღნიშნულია, რომ ჰიპერმარკეტ "დომინოს" მშენებლობას კომპანია "სი-ბი-დი დეველოპმენტი" აწარმოებს, რომელიც ჰოლანდიაში არსებულ ერთ-ერთ ფირმას ეკუთვნის და მისი მფლობელები ცნობილი მილიარდერები: პლატონ ლებედევი და მიხეილ ხოდორკოვსკი არიან. აღნიშნულ კომპანიას კი თბილისში ლიტვის მოქალაქე ტომას გიჟასი აწარმოებს. "სავაჭრო ცენტრსა და მშენებარე ობიექტების დაცვას ხელმძღვანელობს ვანო მერაბიშვილის ყოფილი მოადგილე გია ლორთქიფანიძე, რომლის სახელიც არაერთ გახმაურებულ საქმეში, მათ შორის ლაფანყურის სისხლიან სპეცოპერაციაშიც ფიგურირებს. ჰიპერმარკეტის უსაფრთხოების სამსახურში მუშაობს შს სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი გიორგი ხიზანიშვილი. ეს ის ხიზანიშვილია, რომელიც ე.წ. კორტების სპეცოპერაციაში მონაწილეობდა და რომლის გვარიც ერთ-ერთი პირველი ეწერა ცხონებული იური ვაზაგაშვილის სკანდალურ და საბედისწერო სიაში, რომელიც მან მკვლელობამდე სამი დღით ადრე ბიძინა ივანიშვილს წარუდგინა.

წყაროს ცნობით, ჰიპერმარკეტ "დომინოს" უსაფრთხოების სამსახურში ასევე დასაქმებულები არიან: შს სამინისტროს ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი ზვიად თავართქილაძე, კახეთის სამხარეო პოლიციის ყოფილი უფროსი კახი გიგოლაშვილი, შს სამინისტროს ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს ყოფილი უფროსი გიორგი ჭიღლაძე, კონტრტერორისტული ცენტრის სამმართველოს ყოფილი უფროსი გიორგი ნადარაია და ჩუღურეთის რაიონის ყოფილი გამგებელი, "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერის ირმა ნადირაშვილის მეუღლე დავით დაღელაშვილი. მოკლედ, ეს "დომინო" ჰიპერმარკეტი და სავაჭრო ცენტრი კი არა, "ნაცმოძრაობისა" და მერაბიშვილის დროინდელი შსს-ს ფილიალი გამოდის. ფაქტია, რომ ეშმაკს და "ნაცმოძრაობას" არ სძინავთ! ფაქტია, რომ სააკაშვილი და მისი ნაცნარჩენები რევანშის განსახორციელებლად და ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ყველაფერზე წამსვლელები არიან! მოვუწოდებ კომპანია "სი-ბი-დი დეველოპმენტის" ხელმძღვანელს, ლიტვის მოქალაქეს, ბატომ ტომას გიჟასს, რომელიც ჰიპერმარკეტ "დომინოს" სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს – ბატონ ტომას გიჟას, ნუ გახდებით ნაგიჟარი სააკაშვილისა და მისი ბანდის გიჟური ზრახვების მონაწილე! ", – ნათქვამია სტატიაში, რომელიც გაზეთმა "ასავალ-დასავალმა" სანდო წყაროზე დაყრდნობით გამოაქვეყნა.

ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

სათრეველა

ᲓᲐᲗᲕᲘᲡ ᲢᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

უხმობ იმას, უკრავ იმას,
აწყობილი სხვათა კამერტონით,
რაც დაღუპავს უკრაინას,
გაცოფებულ თეორი დათვის ტორით.
მიგავლინეს მოლაქლაქედ
და მოწმე ვართ უკვე იმისა,
რომ გაგხადეს მოქალაქე
უკრაინისა.
მაგრამ რაკი შიშველი ხარ,
„Ведь Одесса очень велика",
ვეღარც „ნატო" გიშველის და
ვერც ამერიკა!

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲔᲜᲑᲔᲚᲘᲐ

ᲰᲐᲤᲔᲖᲘ

შენი ხატება ილანდება მზერაში მხოლოდ,
შენვე გეკუთვნის ჩვენი გზების თავი და ბოლო,
შენთან დადებულ ფიცს გვახსენებს ზოგჯერ სიზმარი,
არა ხამს თვალი შენ გარდა რომ სხვას გავაყოლოთ.

* * *

იცი, დერვიშო, რომ კრიალა სარკეს ჰგავს ჯამი?
ლალისფერ ღვინის ელვარება იხილე წამით.
იდუმალება მთვრალ რინდს ჰკითხე, მან უწყის უკეთ,
ვიდრე იმ ბერმა, რომ გვაშინებს განკითხვის ჟამით.
ფასკუნჯის დევნას სჯობს დაგლიჯო თასმა ხაფანგის,
თავს ქარის დევნით რომ იქცევდა, არცა სხვა რამით.
ცხოვრების ლხინში ერთ-ორ სასმისს გამოჰკარ ხელი,
დროულად წადი, არ დაგგესლოს საწუთრომ შხამით.
გულო, გარდახდა სიყრმის ჟამი, სახელს ნუ ეძებ,
ვერ აყვავდები სიბერეში აწ დასაბამით.
იხარე ქვეყნად, რადგან წყალი როცა მოაკლდა,
თვით სამოთხეში ვერ გაჩერდა ადამი წამით.
ჰაფეზი ჯამის შეგირდია, წადი, ნიავო,
მონის სალამი მიაწვდინე მეუფეს ამით.

თარგმანი ᲑᲘᲝᲠᲑᲘ ᲮᲣᲚᲝᲠᲓᲐᲕᲐᲡᲘ

ᲛᲐᲤᲨᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲔᲛᲪ

მაფშალიაში მინდორემც,
ოდიარეში ნიხო რჩგ,
თინეფიში ღურჭულუაქ,
შური ჩქიმი მოხიჭგ,
სორე წიე სქანი უდე,
მიქ მიდაგიდ დოგიჭუ?!
ვარა სორე სქანი დიდა,
მიქუთ ბჟა ძუძუთ რჩგ
ეგბა, დიო ცოცხალი რდას
ეგბა, ღორონთქ დოგითუ
ქაშუოკურცხი შქასერი რე,
ჩილამურემქ მოხირჩგ
მაფშალიაში მინდორემც
ოდიარეში ნოხი რჩგ.

მუჭო იტენდ მარგალ ილორც
მუჭო ქაგურ შარდენქ ქილორც
მუჭო ორჯგინ ტურაქ ყილოს
მუჭო გგნირთ ქომონჯქ ჩილო.
მიქ გიოდუ ჭაკის ვარყა?
მიქ დუძახუ ცირას ჯარდა.
დგხას ტყურათ გგლვასარდა
ღურაშა მებძგ გვალო ართდღა.
მიქ აკოირდ წიე ღუდე,
მიქ მერჩ სადგგმი უსაბუთე
ლანდი ქოგუქ დუდ უქუდე
ქართის გულურქ მუნდ-უკურთე.
მიქ ინგოოთ თე დღას მიქგ
ჩილამურქ ვამგკაჯირქგ,
ვაგჩქარცხინუ ხვარცა-ჭირქ
შხვაში ოღალუ გგლაითირქგ.

ᲯᲔᲛᲐᲚ ᲞᲔᲠᲢᲐᲘᲐ, ᲢᲝᲛᲑᲐ

იგორ კეკელია ბლოგი

სამეგრელოს საისტორიო გეოგრაფია იაკობ რაინეგსის სამოგზაურო ჩანაწერებში და თანამედროვე ისტორიოგრაფია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ილორი“, №313

სამეგრელოს მდებარეობა და საზღვრები. სახელწოდება „ოდიში“

„ოდიშის“ ეტიმოლოგიას საინტერესო გამოკვლევა უძღვნა ვუკოლ ბერიძემ. ის ფიქრობს, რომ სიტყვა ოდიშში ო- არ წარმოადგენს პრეფიქსს, არამედ ძირეულია, რასაც ადასტურებს ის გარემოება, რომ ამ პრეფიქსს თავისი ფარდი ე- ან ო- სუფიქსი ქორონიმ ოდიშში არ მოეპოვება. ო-ს თავსართად მიჩნევის შემთხვევაში უნდა გვქონოდა ოდიშე ან ოდიშო, ე. ი. სადიშე ან სადიშო, სხვაგვარად: დიშ-ეთ-ი – დიშ-ების ქვეყანა, ოსიმინდეს, ომანე-ს, ომანო-ს, ოგვაჯეს, ოხვამეს, ოჭვათეს, ოჭვათოსა და სხვათა მსგავსად. მკვლევარი დაასკვნის, რომ ოდიში მეგრული ნათესაობითი ბრუნვაა და „ოდის კუთვნილს, ოდის ქვეყანას“ ნიშნავს. თვით ოდის კი ქვეყნის პატრონად, მოსავლისა და ჭირნახულის დმერთად მიიჩნევს: „ოდი მთავარი ღვთაებაა ქვეყნისა... ოდი ღვთაებაა როგორც მოსავლისა, ისე მოუსავლობისა; ოდი დმერთია როგორც წვიმისა, ისე მზისა“ (ბერიძე 12, 1959: 168-169).

თ. ბერაძე მიმოიხილავს იოანე ბატონიშვილის, მოსე ჯანაშვილის, სარგის კაკაბაძის, ნიკო მარისა და ვუკოლ ბერიძის მოსაზრებებს „ოდიშის“ ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით და დაასკვნის, რომ არცერთ მათგანს საგულისხმო ახსნა არ წარმოუდგენია (იქვე: 461-462).

ვ. ბერიძის თვალსაზრისს ისტორიკოსი თ. მიბჩუანი შეცდომით მიაწერს თამაზ ბერაძეს; თუმცა იქვე დასძენს, რომ აღნიშნული სახელწოდების წარმოშობის შესახებ ამ უკანასკნელსაც საკუთარი მოსაზრება არ გამოუთქვამს (მიბჩუანი 1989: 283).

თ. მიბჩუანი ფიქრობს, რომ „ოდიში“ შედარებით მცირე გეოგრაფიული არეალის მომცველი ტერიტორიის სახელწოდება უნდა ყოფილიყო. გარკვეული მიზეზების გამო დროთა განმავლობაში გაფართოებულ ტერიტორიასაც ოდიში ეწოდა. სვანური ჰად ,,იელი“ (მეგრ. იბლი/ივლი/ეი/ელიში კოკა) წარმოადგენს ჰ თავსართდაკარგული ტოპონიმის – ადიშის (სოფელი მესტიის რაიონში) ფუძეს. სვანური ჰადიშ მეგრულ ენობრივ სამყაროში შეიცვალა ჰოდიში ფორმით, რადგან მეგრულისთვის დამახასიათებელია ა/ო-ს მონაცვლეობა... დროთა განმავლობაში ჰ ბგერა აღნიშნულ გეოგრაფიულ სახელსაც ჩამოცილდა და, მაშასადამე, დღემდე მოღწეული ფორმა ოდიში ნიშნავს იელნარს. მკვლევარი დაასკვნის: საფიქრებელია, რომ სვანური სამთავროს რეზიდენციის სახელი ოდიში ზანური ეთნიკური მასის მომძლავრების შემდგომ ფართო პოლიტიკური ერთეულის ცნებად გადაიქცა (მიბჩუანი 1989: 285).

ვახუშტის ცნობით, ოდიში ეწოდება ცხენისწყალსა და ანაკოფიას შორის მდებარე ვრცელ ტერიტორიას: „საზღვარი ოდიშისა არს ცხენისწყალი და ხაზი ისულეთამდე, მერმე თაკუერსა და ოდიშს შორისი მთა... ოდიშსა და სვანეთს შორისი, სამხრით მდინარე რიონი, გურია-ოდიშს შორისი, და კუალად ეგურის მდინარის შესართავს დასავლეთი – შავი ზღუა. დასავლით ზღუა შავივე და კუალად ანაკოფიის მცირე მთა, კავკასიდამ ჩამოსული სამპრით ზღუამდე... ჩდილო – კავკასის მთა“ (იქვე: 776). აქ სახელოვანი მეცნიერი მიზნად ისახავს ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგდროინდელი ოდიშის პოლიტიკური რეალობის აღდგენას.

მაშასადამე, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით განსაზღვრული ოდიშის სამთავროს აღმოსავლეთი საზღვარი მდ. ცხენისწყალი და ლეჩხუმ-ოდიშის გამყოფი მთა იყო; სამხრეთი საზღვარი რიონზე გადიოდა და გურიისგან გამოყოფდა; ჩრდილოეთი საზღვარი სვანეთ-ოდიშის გამყოფ ეგრისის ქედს გასდევდა; დასავლეთისა კი შავ ზღვამდე ვრცელდებოდა.

ედუარდ აიხვალდი მიიჩნევდა, რომ სამეგრელო ორ დიდ პროვინციად – ლეჩხუმად და ოდიშად იყოფა: ოდიში ცოტა დიდია პირველზე, თუმცა ლეჩხუმი უფრო დასახლებულია ორივე პროვინციას სამეგრელოს სახელის ქვეშ აერთიანებენ. ამიტომ ლეჩხუმს არ უნდა შევხედოთ როგორც ცალკე პროვინციას, თუკი დადიანს სამეგრელოს ბატონს ვუწოდებთ. სამეგრელო პროვინციის ძველი სახელწოდებაა, რადგან ამჟამად მეგრელები მას ოდიშს უწოდებენ. მეგრელები ქართლელთან ან სხვა უცხოელთან საუბრისას თავის თავს ყოველთვის მეგრელს უწოდებენ, რადგან ისინი მათთვის მხოლოდ ამ სახელითაა ცნობილი (აიხვალდი 2005:184).

ჟაკ ფრანსუა გამბას თქმით, სამეგრელო სამი პროვინციისაგან შედგება. პირველს, საკუთრივ სამეგრელოს ანუ ოდიშს (Odezchi) დასავლეთით შავი ზღვა ესაზღვრება, სამხრეთით – გურიის სამთავრო, აღმოსავლეთით – იმერეთი, ჩრდილოეთით – ენგური. მთელი ეს ქვეყანა უმეტესად წარმოადგენს მცენარეთა ნარჩენებით განოყიერებულ ვაკეს. აქ არის რუსების საგუშაგოები. აქაურ მოსახლეობას საფრთხე არ ემუქრება, რადგან მეზობელი ხალხების თავდასხმებისაგან სამეგრელოს ამ ნაწილს ღრმა მდინარეები იცავს.

მეორე პროვინცია ლეჩხუმი (Lezgune) განლაგებულია ცხენისწყლის მარცხენა მხარეს. იწყება ხონის ზემოთ და გადაჭიმულია კავკასიის მწვერვალამდე და იმ მთებამდე, სადაც სვანები ცხოვრობენ. ლეჩხუმის მთაგორიან მხარეს აღმოსავლეთით იმერეთის ოთხი მაზრიდან ერთ-ერთი – რაჭის ოლქი ესაზღვრება.

მესამე პროვინცია დადიანების სახელმწიფოს ნაწილს შეადგენს და სამურზაყანოს და აფხაზეთის სახელითაა ცნობილი. იგი ჩრდილოეთით გადაჭიმულია კოდორის კონცხამდე, ამავე სახელწოდების მდინარემდე, რასაც ძველი ავტორები კორაქსს უწოდებდნენ. აღმოსავლეთით ესაზღვრება წიბელის (Tchibelli) საკმაოდ მაღალი მთები. შეიძლება ითქვას, რომ ეს პროვინცია არცერთ ხელისუფლებას არ ემორჩილება. ეს ადგილი წარმოადგენს თავდაცვის ადგილს და ბარიერს აფხაზებსა და მეგრელებს შორის (გამბა 1987:111-112).

ზემოთ მივუთითებდით, რომ ვაგნერის აზრით სახელწოდება „სამეგრელო“ ამ ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეს მოგვიანებით, თათართა ბატონობის დროს უნდა მიეღო, მაგრამ ეს არ არის სწორი. ქორონიმი „სამეგრელო“ პირველად მოიხსენიება XI საუკუნის I ნახევრის ძეგლში, რაც ცნობილ საეკლესიო მოღვაწესა და მწერალს – ექვთიმე ათონელს ეკუთვნის. იგულისხმება მაქსიმე აღმსარებლის ქართული კიმენური რედაქცია, რაშიც ვკითხულობთ: „წარგავლინეს სამარადისოსა ექსორიობასა და პყრობილებასა კერძოდ სამეგრელოსა... წარავლინა ექსორიობად სამეგრელოს“ (კეკელიძე 1918: 93; ბერაძე 1993: 459). სამეგრელო ბიზანტიური ლაზიკის, მთელი დასავლეთ საქართველოს მნიშვნელობით დასტურდება ნიკიფორე კონსტანტინოპოლელის „ისტორიის“ ქართულ, 1142 წლით დათარიღებულ რედაქციაში, ხოლო XII ს. პირველი ნახევრით დათარიღებულ „დავით და კონსტანტინეს ცხოვრებაში“ ქორონიმი „სამეგრელო“ ვიწრო მნიშვნელობითაა ნახმარი და მეგრელებით დასახლებულ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის ნაწილს აღნიშნავს. მაშასადამე, „სამეგრელოში“ XI საუკუნისათვის მოიაზრებოდა როგორც მთელი დასავლეთ საქართველოს, ისე საკუთრივ მეგრელებით დასახლებული ტერიტორია (ბერაძე იქვე: 459-460).

სამეგრელო მხარის სახელწოდებაა დასავლეთ საქართველოში. იგი მდებარეობს კოლხეთის დაბლობზე, კავკასიონის ქედის მთისწინა და ნაწილობრივ მთიან ზოლში. მისი ფართობი დაახლ. 4339, 2 კმ2-ს შეადგენს. მისი ტერიტორია მოქცეულია შავ ზღვასა და ცხენისწყალს შორის. ჩრდილო-დასავლეთით მდ. ენგური ესაზღვრება; სამხრეთი საზღვარი ძირითადად რიონზე გადის, ხოლო ჩრდილოეთით ეგრისის ქედამდე ვრცელდება. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით სამეგრელო 7 მუნიციპალიტეტს მოიცავს. ესენია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხისა და ხობის მუნიციპალიტეტები. ეს ტერიტორია ყოველთვის მეგრელებით იყო დასახლებული და შედიოდა ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში.

ასევე არასწორია „მეგრელის“ რაინეგსისეული ეტიმოლოგია, რომ თითქოს ეს სახელი პართელებმა უწოდეს და მათ ენაზე მინგ-რეულ თურმე „ათას წყაროს“, „აყვავებულ მიწას“ ნიშნავს (იქვე; იხ. მთარგმნელის შენიშვნა სქოლიოში:119).

იგორ კეკელია,
ისტორიის დოქტორი

გერმანელი ავტორები სამეგრელოს შესახებ

(მორიც ვაგნერი)

სამეგრელოს ბუნების მშვენიერებით მოხიბლული მოგზაური ყურადღებას მიაპყრობს ამ კუთხის მოსახლეობის მდგომარეობას და მისი მართვის სისტემას. იგი გმობს სამეგრელოს მფლობელებისა და ბატონების ტირანიას, უხსოვარი დროიდან უდრეკი სიჯიუტით გაბატონებულ ფეოდალურ წყობას, რაც მორალურად ანადგურებს ხალხს. ფეოდალურ ჩაგვრას მიჩვეული მეგრელებისაგან იშვიათად ისმის დრტვინვა. სიმინდით სავსე გოდრებს და ღომის მინდვრებს ეუფლებიან არა ისინი, ვინც ხნავს და თესავს, არამედ – თავადაზნაურები, დადიანი, საბაჟოს რუსი მცველი, მესაზღვრე ჯარისკაცი და კაზაკი (იქვე: 154-155).

ვაგნერი სამეგრელოში გამოყოფს ოთხ სოციალურ ფენას: დადიანს, ანუ ხელმწიფეს, რომელმაც 1804 წლიდან რუსეთის იმპერატორის სუვერენობა აღიარა; მხარის თავადებს, რომლებიც ფლობენ მნიშვნელოვან ქონებას და ზოგჯერ აუჯანყდებიან ხოლმე თავის მბრძანებელს, აზნაურს და ყმა-გლეხს. ეს უკანასკნელი თავისი მოსავლის გარკვეულ ნაწილს აძლევს აზნაურს, თავადსა და მთავარს; ამასთანავე, ვაჟს ან ქალიშვილს უშვებს ამალაში მოსამსახურედ. გლეხმა იცის, რომ ეს გადასახადი ტრადიციულად გარკვევით დადგენილია და რომ მას უფლება აქვს, თავის ბატონს დადგენილზე მეტი არ მისცეს. ის არც მეტს აკეთებს, არც – ნაკლებს. ყოველი გლეხი თავის ტრადიციულ დავალებას უყოყმანოდ ასრულებს. თუკი თავადი ან აზნაური თავს ნებას მისცემს და მას იმაზე მეტის გაკეთებას მოსთხოვს, რასაც ოდითგანვე იყო დაჩვეული, გლეხი თავს უკიდურესად შეურაცხყოფილად გრძნობს და გაქცევაზე იწყებს ფიქრს. ის თურქულ მხარეში გარბის და მაჰმადიანდება.

ჩაგვრის ყველაზე საზიზღარ ფორმად მორიც ვაგნერი სამეგრელოს მთავართა ნადირობას მიიჩნევს. თავგადადებულ მონადირედ ქცეული დავით დადიანი თავის სამფლობელოში ყველა მიმართულებით დახეტიალობს და მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სახლისა და სასახლის მფლობელია, ნადირობისას მისი მამის – ლევანისა და პაპის – ვამეყის მსგავსად, მაინც აზნაურებთან და გლეხებთან ჩერდება. იგი თავისი მონადირეთა ჯგუფით, მოხეტიალე კალიების გუნდივით შეესევა აზნაურის ან გლეხის სახლ-კარს და მანამ არ ტოვებს იქაურობას, ვიდრე საბრალო სახლის პატრონის უკანასკნელი ქათამი და ბოლო მჭადი არ შეიჭმება (იქვე: 155-156).

დადიანის ცხოვრების ხასიათზე თითქმის ანალოგიურ ცნობებს გვაწვდის ედუარდ აიხვალდიც, რომელიც, როგორც ჩანს, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას ეყრდნობოდა ვაგნერის მონაცემებს: „დადიანი... ხშირად იცვლის საცხოვრებელ ადგილს და თავის ამალასთან ერთად, კალიების მსგავსად, აქეთ-იქით დადის. ზამთარს ის ზუგდიდში ატარებს, შემოდგომას სალხინოში, ზაფხულს ლეჩხუმში, რომ გლეხებთან ახლოს იყოს, რომელთაგან თავის გადასახადს იღებს სურსათ-სანოვაგის სახით. ამ მიმოსვლისას ის მთელ თავის ქვეყანაში მოგზაურობს, რათა იმ სოფლებსაც მისწვდეს, რომლებიც მისი რეზიდენციიდან შორს მდებარეობენ და რომელთაც თვით არ შეუძლიათ მისთვის სურსათ-სანოვაგის მიტანა. ის მათთან რჩება 2-4 კვირის განმავლობაში, სანამ თავის ამალასთან ერთად ყველაფერს არ გამოსჭამს, რასაც მისი ქვეშევრდომები გადასახადის სახით მიართმევენ“ (აიხვალდი 2005: 193).

ნადირობას მეგრელთა უმთავრეს მოსაქმეობად მიიჩნევს XVII ს-ის იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი. ნადირობას ეტანება ყოველი წოდებისა და მდგომარეობის მეგრელი. თითოეულ თავადს თავისი სანადირო ტყე აქვს და მასში ნადირობა ნებართვის გარეშე სხვას ეკრძალება. მთავარი ბევრს ხარჯავს მწევარ-მეძებრებზე, ქორ-მიმინოებსა და ბაზიერებზე. მათ სარჩენად კარგაძალი სოფლებია მიჩენილი, რომელთა მოვალეობაცაა თავის დროზე ბაზიერებისათვის – რიგიანი საჭმლის, ქორ-მიმინოებისათვის – ქათმების, ძაღლებისათვის – ღორების, თხებისა და ღომის მიწოდება... ყოველი ნადირობისას მთავარს თან ახლავს ცხენოსანი კეთილშობილები და ქვეითი რაზმი... (ლამბერტი 2011: 76-77).

ბატონისა და მისი მხლებლების პერიოდული სტუმრობა და მათი გამასპინძლება აჩანაგებდა გლეხთა ოჯახებს. სამეგრელოში ერთი ასეთი სტუმრობის შესახებ მოთხრობილია იოანე ბაგრატიონის „კალმასობაში“. ავტორი ბერი ხელაშვილის ენით გადმოგვცემს: „...სოფელში ორი კვირა იდგენ. ყოველდღე გლეხნი თავისას მოსადგურეთ უმასპინძლდებოდა თხით, ღორითა, ქათმითა, კრავითა, ქვევრების მოხდით და ღვინოებით, ღომით, სიმინდით, ღომის ჩალით და ცხენთათვის აუხდიდნენ დაფარულ სახლებს და აჭმევდნენ ცხენს. სწვავდნენ ჭიგოთა, სართა და აქცევდეს ვენახთა და ბაღებთ, ღობეებს და მერე სახლებსაც გვერდებს გამოუქცევდენ დასაწვავად. რა ეს იხილა ბერმა, სთქვა: ხუცესო, ამ სოფელს რა შეცოდება აქვსო, რომ ამ ყოფაში გყავსო. ხუცესმა: არაფერი, სტუმრებს ასე უნდა დახვდენო...“ (კაკაბაძე 1929:51-52).

იგორ კეკელია,
ისტორიის დოქტორი

ივანიშვილის ახალი „აფიორა“ თუ უმადურობის აპოთეოზი?!

საინფორმაციო წყაროები იტყობინებიან, რომ **„კრისტის“** აუქციონზე ბიძინა ივანიშვილმა ფიროსმანის **„არსენალის მთა ღამით“** 800.000 ფუნტ სტერლინგად შეიძინა და საქართველოს ხელოვნების მუზეუმს გადასცა.

ქართული საზოგადოების ნაწილი აღფრთოვანებულია მილიარდერის ქველმოქმედებით და აცხადებს, რომ ივანიშვილისგან ასეთი ნაბიჯი უცხო ნამდვილად არ არის!

მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს ნახატი ქართველ მილიარდერს არ უნდა ეყიდა – გაცილებით უკეთესი იქნებოდა რომელიმე ცნობილ უცხოურ მუზეუმს შეეძინა (ამით მსოფლიო მეტს შეიტყობდა ქართულ უნიკალურ ფენომენზე), ან რომელიმე კოლექციონერის საკუთრებაში გადასულიყო...

არის საზოგადოების მესამე – „ნაციონალური“ აზროვნებით დაშტამპული ნაწილი, რომელნიც **„ამტკიცებენ“,** რომ ეს ნახატი ივანიშვილმა თვითონ გაიტანა **„კრისტის“** აუქციონზე და თავადვე იყიდა, რომ ეროვნული კულტურის გადარჩენის ავანგარდში კიდევ ერთხელ ჩაწერილიყო!!!

ურწმუნო თომებს, გარდა ცარიელი განცხადებებისა არანაირი მამხილებელი დოკუმენტები არ გააჩნიათ. როგორც ჩანს, მათი მიზანი არა იმდენად ჭეშმარიტების დადგენაა, რამდენადაც ქართველი მილიარდერის კიდევ ერთ **„აფიორაში“** მხილების ცდა, თუმცა სხვა თემაა, რამდენად ირწმუნებს ამას ქართული საზოგადოება!

იტყვიან, ენას ძვალი არა აქვსო. ეტყობა, ამ შემთხვევაშიც **„უძვლო“** ენის ტარტალთან და შხამითა და გესლით გაჟღენთილ ბრალდებასთან გვაქვს საქმე. აქედან გამომდინარე, ექს-კულტურის მინისტრის, ნიკა რურუას განცხადება **„ფიროსმანის ნახატს ივანიშვილი ყიდდა და თვითონვე იყიდა“** არასერიოზულად გამოიყურება. თუ ეს მართლაც ასეა, დადონ მამხილებელი დოკუმენტები და საზოგადოება თავად შეაფასებს, თუ რასთან გვაქვს საქმე!

თუმცა, ეს არ არის ამჯერად მთავარი, უფრო მნიშვნელოვანია, რომ ეს უნიკალური შედევრი **„კრისტის“** აუქციონზე, თურმე, რუსული ხელოვნების კატეგორიით წარსდგა...

ვეთანხმები სოფიო კილასონიას, რომ ეს არის ქართული მეცნიერების, უპირველესად, საქართველოს კულტურის სამინისტროს უპატიებელი მარცხი!..

ვეთანხმები იმაშიც, რომ ჩვენ ვერ ვახერხებთ (ეტყობა ამის ელემენტარული ნებაც არ არსებობს ქვეყანაში) ქართული კულტურის პოპულარიზაციას საერთაშორისო სივრცეში, თუმცა პოპულარიზაციას ვინ ჩივის, ნელ-ნელა ქრება სახელმწიფოებრივი მიდგომა ქართული კულტურის, ზოგადად, ქართული იდენტობის შენარჩუნების მიმართ, რომელსაც ნაბიჯ-ნაბიჯ ეროვნული ფესვების უარყოფამდე მივყავართ!

არ ვიცი, რამდენად აქვს ნიკა რურუას უცერემონიო განცხადების ობიექტური საფუძველი, მაგრამ მედალს მეორე მხრიდან შევხედოთ: რომელი სჯობდა: ფიროსმანის ნახატი მშობლიურ საქართველოში დავანებულიყო, თუ იგი რომელიმე უცხოელი კოლექციონერის კოლექციას შემატებოდა?! (ოფიციალური ინფორმაციით, ეს ნახატი ფრანგ პოეტს ლუი არაგონს აჩუქეს თურმე და შემდეგ ორჯერ გაიყიდა).

შეიძლება გავიზიარო სოფიო კილასონიას მოსაზრება იმის თაობაზეც, რომ უფრო კარგი იქნებოდა, თუ ეს უნიკალური შედევრი მსოფლიოს რომელიმე ცნობილ მუზეუმს დაამშვენებდა, თუმცა, რა სარგებლობა ექნებოდა მას საქართველოსთვის, როცა იგი აუქციონზე რუსული ხელოვნების კატეგორიით იყო წარდგენილი?

აქედან გამომდინარე, გაცილებით უფრო მიზანშეწონილია ქართული შედევრის საქართველოშივე დაბრუნება. სხვა საკითხია, რა ადგილს დაიკავებს იგი ქართული ხელოვნების მუზეუმში, რამდენად იქნება ხელმისაწვდომი უცხოელი ტურისტებისთვის და როგორ შევუწყობთ ხელს მის პოპულარიზაციას!

და ბოლოს: არ მაინტერესებს ფიროსმანის ნახატის გარშემო ატეხილი უაზრო ინსინუაციები. რაც არ უნდა კუდი გამოაბან, ბიძინა ივანიშვილი ამ ჟესტის გამო თანამემამულეებისგან მხურვალე მადლობას ნამდვილად იმსახურებს!

ხალხო, სხვა ყველაფერთან ერთად, მადლიერებისგანაც ნუ დავიშრიტებით!!! კარგს თუ კარგი არ ვუწოდეთ, ცუდს სახელად რა დავარქვათ?!

ა. ლ ი ს ა შ ვ ი ლ ი

რ ე დ ა ქ ც ი ი ს კ ო მ ე ნ ტ ა რ ი: აღნიშნულ საკითხზე “ილორი” გამოაქვეყნებს წერილს. მანამდე კი გვინდა აღვნიშნოთ, რომ ნამდვილად არ ღირს სერიოზული ყურადღების მიქცევა იმ “მხედრიონელი” ნიკა რურუას გამონათქვამებზე, რომელიც 90-ანი წლების მხედრიონული “მოღვაწეობის” პერიოდში, თავის ძმასთან გიორგი (ჟორიკა) რურუასთან ერთად, ბანდიტური გამოხდომებით, ლამის თავზარს სცემდა ქალაქს და უამრავი ადამიანის სისხლში აქვთ ხელები გათხვრილი.

როცა ამგვარი სისხლის სამართლის დამნაშავეები დაუსჯელად დაპარპაშებენ, ჭკუას გვასწავლიან და ნამუსზე გვაგდებენ, მათგან კიდევ უამრავ სიურპრიზს უნდა ველოდოთ. და როცა სახელმწიფოს ასეთი არსებების მიმართ კანონისა და კანონიერების დაყენების ძალა და პოლიტიკური ნება არ გააჩნია, მაშინ მათ საზოგადოებამ უნდა გასცეს საკადრისი პასუხი!

ბანდიტს მხოლოდ ბანდიტურ სახელმწიფოში აქვს მორალსა და ზნეობაზე საუბრის უფლება!

ივანიშვილმა (ეს) რა ჰქმნა!

ეეხ ბატონო ბიძინა, ბატონო ბიძინა. ადამიანი, ცხოველისაგან იმით განსხვავდება, რომ ის მეტყველებს, და რაც მთავარია მას გააჩნია ღირსება, რომელსაც ვიღაცეების ხუშტურის გულისათვის გვაკარგვინებთ! არა და კიდევ არა! ამას ქართველი ხალხი უკვე ვეღარ მოითმენს! იმის ღირსი იყო საქართველო და ქართველი ხალხი, რომ თქვენი პირადი კეთილდღეობისათვის გენაცვალებინათ? თუ არ შეგეძლოთ მეტის გაკეთება, მაშინ რატომ აიღეთ თქვენს თავზე ის გრანდიოზული ვალდებულებები, რომლებსაც ასე უშურველად აფრქვევდით? თუ წინასწარ მოგცეს მოქმედების გეგმა, როგორ გაგეცუცურაკებინათ საქართველო და ქართველი ხალხი! ხალხი, მძიმედ, მაგრამ უკვე იწყებდა თქვენი შეუსრულებელი დაპირებებისადმი შეგუებას! მაგრამ ეხლა რაც თქვენ გააკეთეთ, ეს უკვე მეტისმეტია. ან რას ერჩოდით ამ ახალგაზრდა კაცს, ირაკლი ღარიბაშვილს? რატომ გახადეთ (დაუმსახურებლად) ხალხის საძილიკოდ და სალანძღავად? მამა-შვილურად ვუთანაგრძნობ და მუდამ ვიქნები მისი გულშემატკივარი! მან ეს დაიმსახურა ხალხში!

სულით და გულით ვეთანხმები ქალბატონ ირმა ინაშვილს, ამ მართლაც-და საქართველოზე უზომოდ შეყვარებულ ქალბატონს, რომელმაც გადაცემა „რეაქცია“-ში განაცხადა, რომ მადლობას ვეუბნები ბიძინა ივანიშვილს, მაგრამ მისგან მოვითხოვ, და კატეგორიულადაც მოვითხოვ დანაპირების შესრულებას! და რაც მთავარია ხალხს ხმა არ მიუცია ამ ორ-პროცენტიანი „რესპუბლიკელებისათვის“ და მით უმეტეს (!) „თავისუფალი დემოკრატებისათვის“! „რესპები“ იყვნენ სააკაშვილს რომ უგანეს თანამდებობების გულის- თვის! რა, თქვენც დაგემუქრნენ, რომ მინისტრების სავარძლებს თუ არ მოგვცემთ, წავალთ და გიჩივლებთ მისტერ ნორლანდთან-ო!? ამავე დროს გავალთ კოალიციიდან ალასანიასავით და ჩაგიდგებით ჯიბრშიო?! ისიც კარგად გვახსოვს როგორ დაატარებდით სოფელ-სოფელ „შემოულაწუნე“ მარგველაშვილს, გინდა თუ არა ეს უნდა აირჩიოთ საქართველოს (ვაი შენ უბედურო საქართველოვ, ამათ ხელში!) პრეზიდენტად, თუ არა და მე წავალო! ისიც მინდა გაგახსენოთ, რაც სენაკში თქვით მარგველაშვილთან ერთად ვოიაჟის დროს. ხალხს რომ უთხარით, თუ ამას აირჩევთ პრეზიდენტად, მაშინ საქართველოს ეყოლება ინტელიგენტი (?) პრეზიდენტიო. თქვენი აზრით ზვიად გამსახურდია არ იყო ინტელიგენტი? თუ მას პრეზიდენტად არ თვლით? ანდა, საინტერესოა თქვენი წარმოდგენა, მცნება ინტელიგენტზე! სად არის თქვენს მიერ დაპირებული, ევროპის გადასარევი მთავრობა? რომელი მათგანია ასეთი? ყველა მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე რომ ზრუნავს?! სანიკიძე, კალაძე, ბერუჩაშვილი, ზაქარეიშვილი, ახლა უკვე ხიდაშელი, ხადური?... ამ გაღატაკებულ საქართველოს რად უნდა სამი სახელმწიფო მინისტრი, თავიანთი აპარატებით? არ ჯობია ისინი გადააკეთოთ დეპარტამენტებად და დაუქვემდებაროთ, თუნდაც საგარეო საქმეთა სამინისტროს, ოღონდ ნორმალური მინისტრის დანიშვნით! ამით ხომ ქვეყანა დიდ შეღავათს მიიღებს, გამონთავისუფლდება თანხები და ფართობები!

რასაც ვიმკით (რაც თქვენც აღარ მოგწონთ!) სახეზეა! ან და წლების შესახებ, რომ ამბობდით, პირველი მძიმე იქნებაო, მეორე ცოტა კარგი (?), მესამე უფრო კარგი(?), ხოლო მეოთხე კარგიო(?!). სად არის? „მარქვი რა იქმნენ საკვირველი ესე აღთქმანი“?...ტატო.

ბატონო ბიძინა! ვითარება საქართველოში უკიდურესად მძიმეა! ხალხის მოთმინების ფიალა ივსება! თუ დროზე არ მიიღეთ გადამჭრელი ზომები და საქართველოს ცხოვრება არ მიმართეთ ნორმალური კალაპოტისაკენ, ხალხი გამოვალთ (მიუხედავად ჩემი ოთხმოცი წლის ასაკისა) ქუჩაში და ყველა მიიღებს თავისას, დამსახურების მიხედვით! საქართველოს მხოლოდ უფალი გადაარჩენს! და არავითარი ეგრეთ წოდებული საზღვარგარეთელი მეგობრები, აშშ-ს თამადობით და შინაური ასო-ები! მათ ყველას საქართველო ფეხებზე ჰკიდიათ! მათგან ცუდის მეტს ნურაფერს ელით!

საინტერესოა, როდესაც სარკეში იხედებით, რას ეუბნებით თქვენს ორეულს? კმაყოფილი ხართ თქვენი ნამოქმედარით? თქვენ თუ ხართ კმაყოფილი, ჩვენ ძალიან უკმაყოფილონი ვართ, თქვენი ჩვენდამი დამოკიდებულებით, და ამას მიაქციეთ ჯეროვანი ყურადღება! საქართველო არ შეეგუება სხვის დაკრულზე მოცეკვავე ხელისუფლებას! თქვენ ვალდებულები ხართ იცეკვოთ საქართველოს მიერ დაკრულ მუსიკაზე! თუ არა და, ოთხივ კუთხივ ჯვარი გწერიათ! ჩვენ თავი დაგვანებეთ, მშვიდობიანად წაბრძანდით თქვენი საზღვარგარეთელი „ნაჩალნიკებით“! ყველაფერს აქვს საზღვარი! საქართველოს ამაზე დიდი უბედურებებისათვის გაუძლია და არ წაქცეულა!

მორჩა!!!

ბატონო ბიძინა, ჩემი თქვენდამი დამოკიდებულების შესახებ მაქვს გამოქვეყნებული წერილი, რომელიც შეგიძლიათ მოიძიოთ და დარწმუნდეთ ჩემს თქვენდამი კეთილგანწყობაში (ოდესღაც!), გაზეთ „ილორში“, 2011 წლის 5-12 ნომერში! ეს ის დროა როდესაც საქართველოში „ნაცისტები“ ზეობდნენ!

ორი დაღუპული მებრძოლის მამა,

ა ნ ზ ო რ ი დ ა ნ ე ლ ი ა

„დადიანების სასახლე ქართული კულტურის უნიკალური შედევრია და ჩვენი ვალია, ის მომავალ თაობას შემოვუნახოთ“

ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის დედოფლისეული სასახლის კვლევისა და რესტავრაციის არქიტექტურული პროექტის პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

„დადიანების სასახლე თითოეული ქართველისთვის საამაყო ადგილია, ეს არის ქართული კულტურის შედევრი, რომელიც ნათელი მაგალითია იმისა, ვინ არიან ჩვენი დიდი წინაპრები, როგორ სახელმწიფოს აშენებდნენ ისინი და როგორი ქვეყანა დაგვიტოვეს. ჩვენი ვალია, ეს უნიკალური სამუზეუმო კომპლექსი შემოვუნახოთ მომავალ თაობას, აღვადგინოთ და მოვუაროთ“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განსაკუთრებული მადლიერებით აღნიშნა ყველა იმ ადამიანის დამსახურება, ვისაც დიდი წვლილი აქვს შეტანილი დადიანების კომპლექსის გადარჩენის საქმეში.

ს ა ქ ი ნ ფ ო რ მ ი

გიორგი თევზაძე: "სომხური მხარე ქართული მართლადიდებლური ეკლესიების მიტაცებას ცდილობს"

თაღლითები თავისას მაინც არ იშლიან!

უფლებადამცველი გიორგი თევზაძე აპროტესტებს სომხეთის მოთხოვნას 450 ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაზე და საქართველოს ხელისუფლებას ქმედითი დახმარებისკენ მოუწოდებს. გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ **"პირველი შემთხვევა არაა როდესაც სომხური მხარე უსაფუძვლოდ, ისტორიული ფაქტების დამახინჯებით და მეცნიერული დასკვნების საწინააღმდეგოდ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიების მიტაცებას ცდილობს რისთვისაც საქართველოს მისამართით წამოწევს დაუსაბუთებელ და აბსურდულ და ისტორიულ წყაროებთან სრულიად შეუსაბამო პრეტენზიებს, განსაკუთრებით აქტიურობენ ზოგიერთი სომეხი "ისტორიკოსი", – ამ სახის არაკეთილმეზობლური დამოკიდებულება პერიოდულად იჩენს ხოლმე თავს. სხვადასხვა ენაზე თარგმნილი ბეჭდური პროდუქციით ისინი ცდილობენ შეცდომაში შეიყვანოთ პიროვნებები, ასევე, ამ ბოლო დროს მედიით გავრცელებული ინფორმაციით ირკვევა, რომ თურმე სომხური მხარეს ჯერ საქართველოში მდებარე 5 ეკლესიაზე ჰქონდა პრეტენზია, რომელიც მოკლე პერიოდში 450 ეკლესიამდე გაიზარდა. ვინმე სამველ კარაპეტიანმა გამოსცა წიგნი, სადაც ეწერა, რომ საქართველოში მდებარე 653 ეკლესია არის სომხური. ეს წიგნი 1995 წელს რუსულ ენაზე გამოიცა და რამდენიმე წლის წინ კი იგი ინგლისურად ითარგმნა. სადავო ეკლესიების თემას საკმაოდ ვრცელი სტატია მიუძღვნა რუსულმა ინტერნეტ-გამოცემამ. გამოცემის ცნობით საქართველოში სომხური ეპარქიის წინაძღვარმა ვაზგენ მირზახანიანმა მიმართა საქართველოს ხელისუფლებას, რომ ამ საკითხზე დიალოგი დაიწყოს. სომხურ ეპარქიას გათვითცნობიერებული აქვს, რომ საერთაშორისო საეკლესიო ინსტანციებში დავა ამ თემაზე უპერსპექტივოა. აქვე ცნობილი ხდება, რომ სომხური მხარე გეგმავს ეს საკითხი გადაიტანოს კულტურული მემკვიდრეობის დავის სიბრტყეში და ამ თემაზე იუნესკოს მიმართოს. როგორც ჩანს ამ დავის მოცემული სცენარით გაგრძელება მხოლოდ დროის საკითხია და საქართველოს ხელისუფლებას მოეთხოვება სწორი და დროული რეაგირება განახორციელოს ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციაში. საქართველო–სომხეთის ურთიერთობაში სადავო ეკლესიების თემა ყოველთვის იყო. ეს საკითხი განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც საქართველოს სომეხთა პატრიარქი გარეგინ მეორე ეწვია. მან საქართველოს პატრიარქს სომხური ეკლესიისთვის სტატუსის მინიჭება მოსთხოვა. ამავე დროს გარეგინ მეორე სადავო ეკლესიების გადაცემას მოითხოვდა. საქართველოს ეკლესიის წინამძღოლმა ამის პირობა მისცა, რომ საქართველოში სომხური ეკლესია იმავე სტატუს მიიღებდა, რა სტატუსსაც ეჩმიაძინი სომხეთში ქართულ ეკლესიას მიანიჭებდა. საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ სადავო ეკლესიებზეც ისაუბრა და სომხურ მხარესაც მოსთხოვა სადავო ეკლესიების გადაცემა. ეს შეთავაზება გარეგინ მეორეს არ მოეწონა, რის გამოც, სავარაუდოდ, ამ თემაზე დროებით საუბარი შენელდა და ამ დღეებში კვლავ ახალი მოთხოვნები იქნა სომხური მხარის წარმომადგენლების მხრიდან დაყენებული. უნდა საგანგებოდ აღინიშნოს, რომ ამ თემაზე არსებობს ქართველ მეცნიერთა არაერთი ფუნდამენტური კვლევა და საფუძვლიანი დასაბუთება, რომლითაც დასტურდება სადავო ეკლესიების ქართული წარმომავლობა. ყველა კვალიფიციური კვლევა დასაბუთებულად ადასტურებს სომხური მხარის პრეტენზიების სრულ უსაფუძლობას და აბსურდულობას. როგორც ჩანს სწორედ ეს კვლევები წარმოადგენს იმის მიზეზს, რომ სომხური მხარე რატომღაც თავს არიდებს ქართულ მხარესთან ერთობლივი კომისიების შექმნას და ცდილობს საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის იუნესკოს შეცდომაში შეყვანით მიაწიოს საწადელს. ამდენად, ამ გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს დიპლომატიურ ჭრილში საქართველოს გააქტიურება, რათა ყველა მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაცია, და მათ შორის იუნესკო, ფლობდეს მეცნიერულად დასაბუთებულ ინფორმაციას სადავო ეკლესიების ქართული წარმომავლობის თაობაზე. ამ მხრივ ქართულ ხელისუფლებას და პირველ რიგში საგარეო საქმეთა სამინისტროს და ძეგლთა დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის სამინისტროს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება. სომხური მხარის პრეტენზიების მოსმენისას უნებურად გვახსენდება ილია ჭავჭავაძის "ქვათა ღაღადი" და გვიჩნდება ლოგიკური კითხვა, როგორ არ მთავრდება საუკუნეების მანძილზე სომხური მხარის უსაფუძვლო და უკანონო მცდელობები ქართული ისტორიული, მართლმადიდებლური ეკლესიების მიტაცებისათვის. ამ ქართული ეკლესიების დაცვა არის მთელი ქართული საზოგადოების ვალდებულება და პასუხისმგებლობა მომავალი თაობების წინაშე", – ნათქვამია უფლებადამცველის გიორგი თევზაძის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

სტალინი სამეგრელოში

მინდა გადმოგცეთ სენაკის რაიონის სოფ. ქვემო ფოცხოში მცხოვრები, აწ გარდაცვლილი გივი ქუჩულორიას ნაამბობი: "ბებიაჩემმა, ნატალიამ მიამბო: ერთხელ, ნაშუადამევს, კარებზე ვიღაცამ დააკაკუნა. ფინია ჯერ აყეფდა, მერე წკმუტუნი დაიწყო, აშკარა იყო ძაღლს ვიღაცა ეფერებოდა. ბებიამ კარი გააღო, ხედავს, კარებთან დგას ვიღაც ყმაწვილი კაცი, ყელზე შემოხვეულ კუბოკრულ კაშნეში, სახე ძლივს-ღა უჩანდა. დაღლილობა ეტყობოდა. ბებიამ სტუმარი შემოიპატიჟა, მაგრამ სტუმარმა იუარა, შორი გზა გამოვიარე, ძალზე დაღლილი ვარ და მოსვენება მინდაო, ოღონდ ოთახში არა, ქვევრი გექნებათ და იქ დამმალეთო.

ბაბუამ, ისლამ ქუჩულორიამ სტუმარი ქვევრთან მიიყვანა, შიგ ჩასვა და ქვევრს ზემოდან ჩალა დააყარა.

იმ ღამეს ბებია ნატალის თითქმის არ უძინია, ერთთავად სამზარეულოში ფუსფუსებდა, კეცზე პური და მჭადები დააცხო, ტილოში ყველთან ერთად გაახვია. გამთენიისას მივიდა ქვევრთან და დაუძახა: ნანა, სქუა, სქანი გოლუაფირო! (ნანა, შვილო, შენ შემოგევლე), ცოტათი დანაყრდი მაინცო. ხმა არავინ გასცა. ქვევრში ჩაიხედა და რას ხედავს, ქვევრი ცარიელია. უცხო სტუმარი გამთენიისას გადგომია გზას.

შეწუხებული შებრუნდა სახლში და ქმარს უამბო, სტუმარი უპატივცემლოდ წასულაო. ისლამს უთქვამს, დამშვიდდი, ის ბიჭი გუშინ კრებას ატარებდა უშაფათში (მეზობელი სოფელია), საიდუმლოდ დადის და ადრე იმიტომ წავიდა, არ უნდოდა ვინმეს ჩვენი სახლიდან გასული შეემჩნია და ამით უსიამოვნება აგვარიდაო".

ამ ამბის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ჩვენიანებმა დიდი ხნის მერე გაიგეს, რომ ის ბიჭი ვინმე **კობა ჯუღაშვილი** ყოფილა, ბაქოდან გამოქცეული რევოლუციონერი და არალეგარულად მუშაობდა.

"– ამას რავა ვიფიქრებდი, ბებიაჩემის სტუმარი, რომელმაც თავშესაფარად ქვევრი ითხოვა, ისეთი ძლიერი ლიდერი გახდებოდა, რომ მსოფლიოს შეაზანზარებდა". – იტყოდა ხოლმე ბატონი გივი ქუჩულორია.

ნატო ღვინჯილია,
თბილისი

პურის ხარისხის კვლევის საგანგაშო შედეგები

სუპერმარკეტებისა და მაღაზიების დიდ ნაწილში პურის შენახვის ნორმები დაუდევრად ირღვევა. საქართველოში სარეალიზაციო პურის 60%-ს დართული აქვს არასწორი ეტიკეტი, ხოლო სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მხრივ არსებულ დარღვევათა მასშტაბი 70%-ს აღწევს.

არასამთავრობო ორგანიზაცია **"ეტიკის"** კვლევა, რომელიც პურის ხარისხსა და წონას ასახავს, თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდა. ორგანიზაციის თავმჯდომარის ამირან შენგელიას ინფორმაციით, კვლევის შემდეგი ეტაპი პურის ნედლეულის შესწავლას დაეთმობა. მისივე თქმით, კვლევის შედეგიდან გამომდინარე, ყველაზე ცუდი მდგომარეობა დაფიქსირდა აჭარაში, რამაც შეიძლება კურორტის იმიჯზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს.

"მომხმარებლების მხრიდან ყველაზე მეტი კითხვა პურის ხარისხს უკავშირდება. აქედან გამომდინარე, დავიწყეთ კვლევა და 200-ზე მეტი ობიექტი შევამოწმეთ. სამეგრელოს გარდა, თითქმის მთელი საქართველო მოვიარეთ, თუმცა მომავალში ამ რეგიონსაც ჩავრთავთ. ჯერჯერობით ეს ვერ მოხერხდა. სამწუხაროდ, პრობლემა ყველგან დაგვხვდა, მათ შორის, დიდ ქალაქებშიც, სადაც მომხმარებელს შეძენილი პურის ხარისხისა და წონის შესახებ ელემენტარული წარმოდგენაც არ აქვს. შეიძლება ითქვას, რომ წონის პრობლემა პურის ბაზარზე მასობრივია. ეტიკეტზე მითითებულ წონასა და რეალურს შორის სხვაობა ხშირად 20-100 გრამის ფარგლებშია, თუმცა ეს ინფორმაცია ყველა ეტიკეტზე არ არის. ფასი კი პურის წონას არ შეესაბამება. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ მომხმარებლის უმეტესობამ არ იცის, რა წონის პურს ყიდულობს. ამასთან, შეუფუთავ პურს ეტიკეტი არ აქვს და პურთან დაკავშირებულ ინფორმაციას მყიდველი ვერც გამყიდველისგან იღებს. სავაჭრო ობიექტებში პურის წონითა და ხარისხით დაინტერესებულ ადამიანებს პასუხობენ, რომ ეს ქარხნების კომპეტენციაა, თუმცა სინამდვილეში ისინიც არიან ვალდებულნი, გასაყიდი პროდუქტის შესახებ ნებისმიერ ინფორმაციას ფლობდნენ და მომხმარებელი შეცდომაში არ შეიყვანონ", – აცხადებს შენგელია და დასძენს, რომ მისთვის გაუგებარია ის პრინციპიც, რითაც სავაჭრო ობიექტები პურის ფასის განსაზღვრისას მოქმედებენ.

"დახლებზე წარმოდგენილი პურის უმეტესობას არ აწერია ვარგისიანობა, ეტიკეტზე მითითებულია, რომ შენახვის ვადა არის 73 საათი, მაგრამ გამოშვების თარიღი არ აქვს და მყიდველმა საიდან უნდა დაიწყოს ათვლა? ფასზე აღარაფერს ვლაპარაკობ, ერთი და იგივე დასახელების პური სხვადასხვა სავაჭრო ობიექტში განსხვავებულ ფასში იყიდება. თუმცა, ეს საბაზრო ეკონომიკის პრინციპია და ვერ შევეწინააღმდეგებით, უბრალოდ, გაუგებარია ფასის დადგენისას რა პრინციპით მოქმედებენ მაღაზიები. როგორც ჩვენმა კვლევამ აჩვენა, პურის შეფუთვის მხრივაც პრობლემაა. ე.წ. ცელოფნის პარკში შეფუთული პური 72 საათის განმავლობაშიც ვერ ძლებს, უხარისხოა, რაც შეიძლება ცხლად შეფუთვის ბრალიც იყოს.

ერთ-ერთი მთავარი ნიუანსი, რაც შემდგომში პურის გაფუჭებასაც იწვევს, არის პურის სწრაფი შეფუთვა, მხედველობაში მაქვს ის, რომ მწარმოებლები ხშირად პურის გაციებას არ ელოდებიან და ისე ფუთავენ პურს, ეს კი მოგვიანებით ამ პურის დაობებას იწვევს. სამწუხაროდ, არც ამ მხრივ არსებობს რამე რეგულაცია. მაღაზიებში პურის შენახვის პირობებიც დარღვეულია", – აცხადებს ამირან შენგელია.

კიდევ უარესი მდგომარეობაა თონეებსა და საცხობებში, სადაც უხეშად არის დარღვეული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და წონასთან დაკავშირებული პრობლემაც ბევრად მწვავეა.

"კვლევისას რამდენიმე ისეთ თონეს წავაწყდით, სადაც ელემენტარულად, არ აქვთ წყალი და ვედროებით ეზიდებიან საცხობებში. ასეთ დროს პურს შეიძლება დაემართოს "კარტოფილის" სახელწოდებით ცნობილი დაავადება, რომელიც უსიამოვნო სუნით ხასიათდება და ჯანმრთელობისთვის საშიშია. გამოცხობის შემდეგ თონეში პურს არავინ წონის, ამბობენ, რომ 500 გრ. ცომი გამოიყენება თითო შოთი პურის გამოცხობაში, მაგრამ რეალური წონა 400 გრამიც არ არის. მთლიანობაში, ძალიან ცუდი მდგომარეობაა. ეს არის კვლევის პირველი ეტაპი, სამომავლოდ პურის ნედლეულის შესწავლას დავიწყებთ. ცხადია, კვლევა შავი პურის ხარისხზეც გვექნება, რომელიც ჯერჯერობით ვერ მოხვდა მიმდინარე კვლევაში",– დასძენს შენგელია.

კვლევის ავტორების ინფორმაციით, პურის ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ მონაცემებს სურსათის უვნებლობის სამსახურს გადასცემენ. მომხმარებელთა უფლებადამცველებს დიდი იმედი აქვთ, რომ შესაბამისი სტრუქტურა ადეკვატურ რეაგირებას მოახდენს და პურის ხარისხითაც დაინტერესდება. საქართველოს სტრატეგიული კვლევის ცენტრის წარმომადგენელი ლია თოდუა ამბობს, რომ ქვეყანაში პურის ცხობის ერთიანი სტანდარტი არ არსებობს, ხოლო ხარისხის ელემენტარული კონტროლი არ ხორციელდება.

"სტანდარტი იმისა, კომპანიამ რამდენი საფუარი, რამდენი ფქვილი და ა.შ. უნდა იხმაროს პურის გამოცხობის დროს, არ არსებობს, რაც შეეხება პურის ხარისხის კონტროლს, ის არავის ევალება, თუმცა შეიძლება იყვნენ კომპანიები, რომლებიც ამას ახორციელებდნენ. დღეისათვის ხარისხი არ რეგულირდება, რეგულირდება მხოლოდ პურის უვნებლობა, ხოლო ხარისხის შემოწმება ნებაყოფლობითია. პურის ხარისხის გარჩევა მთლიანად მომხმარებელზეა მინდობილი. მაგალითად, პურის ეტიკეტზე როდესაც გვაქვს მითითებული, რომ მასში გამოყენებულია ამდენი ხორბლისა და ამდენი ჭვავის ფქვილი, ეს უნდა იყოს ზუსტად დაცული. თუ საღებავია დამატებული, ესეც უნდა იყოს მითითებული, ანუ პურის წარმოებაში გამოყენებული ინგრედიენტები უნდა იყოს ზუსტად ასახული ეტიკეტზე, რის შემდეგაც მომხმარებელი უკვე თავად შეარჩევს, თუ რომელ პროდუქტს მიანიჭოს უპირატესობა", – აცხადებს ლია თოდუა.

ᲓᲘᲓᲘ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ 118 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

ᲢᲔᲠᲔᲜᲢᲘ ᲒᲠᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐ!

ქართული მართლმადიდებლური მეცნიერული რელიგიის, კერძოდ, მწერლობისა და პედაგოგიური მისიის ღრმა საფუძვლიანი შესწავლის მიზანი იყო, არის და იქნება ჩვენს გარშემო არსებული სამყარო მარადისობისა და კაცობრიობის ცივილიზაციის კულტურული შედეგრების ფართოდ გაშუქება-შესწავლა.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენს წელთა აღრიცხვამდე თუ ჩვენი წელთაღრიცხვით მოღვაწე მსოფლიო გენიალური მწერლები, ლიტერატურისა თუ პოეზიის ოსტატები, ქმნიდნენ პირდაპირი მიწიერი ყოფითი მნიშვნელობითა და საიდუმლო მეცნიერული რელიგიით დატვირთულ კოდირებულ ალეგორიული პოეზიისათვის დამახასიათებელ ქარიზმატული ჟანრის შედეგრებს.

სწორედ ასეთი მრავალწახნაგოვანი პოეზიის რელიგიურ – ქარიზმატული ჟანრის, ამქვეყნიურის უარმყოფელი და უსასრულო მარადისობაში სულით გადავარდნილ, მეოცე საუკუნის გენიალური პოეტის ტერენტი გრანელის საქვეყნოდ ცნობილი ლექსის **„გაზაფხულის საღამოა მშვიდი“**-ს მეცნიერულ რელიგიურ ანალიზზე შეეჭერდებით.

ჩემს წინა ნაშრომებში ხშირად ვახსენე და ახლაც ვიმეორებ, რომ საიდუმლო მეცნიერული რელიგია სამწუხაროდ არ არის ჯერჯერობით მრავალთათვის გონებით მისაწვდომი მეცნიერება, მაგრამ გენიალური ხელოვნების ნებისმიერმა ქმნილებამ, მით უმეტეს პოეზიამ, უნდა შეაღწიოს ადამიანში, უნდა აღძრას და გააღვიძოს მასში იმ თემის იდენტური აზრი, თუ რა თემაზეც აქვს ავტორს აგებული ნაწარმოები.

„გაზაფხულის საღამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი“,

პოეტმა ტ. გრანელმა განუმეორებელი, შესანიშნავი, უხადო სიტყვებითა და ღრმა ფილოსოფიური შინაარსით დატვირთული კლასიკური პოეზია დაუტოვა კაცობრიობას.

– დიახ, დიდი გაგებით, გაზაფხულის საღამო უდგას კაცობრიობას. სახარებისეული აპოკალიფსის ბოლო პერიოდი გრანელმა მიიჩნია საღამოდ, რომლის გათენების შემდეგ ბუნებრივია დგება დილა და ახალი დღე.

სწორედ ამ ახალ დღესა და დილას შეჰხარის მთელი წიგნიერი კაცობრიობა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მხოლოდ **„შვიდი“** ცნობიერ შემეცნებითი სუბსტანციის მატარებელ გონს შეუძლია გაითვნოს გრანელისეული გაზაფხულის დილა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის დარჩება მიწიერ საღამოში.

– პოეტი ბრძანებს:

„გაზაფხულის საღამოა მ-შვიდი“.
„სული საზღვარს გადასცდება ფრენით
ახლაც მახსოვს მისამართი შენი“.

მეგობრებო, თუ ჩვენი მარადიული სულის ხორციელი სხეულის საარსებო საცხოვრებელ ადგილს ვუწოდებთ **„ქვე-ყანას“** მაშინ ბუნებრივია არსებობს **„ზე-ყანაც“.**

სწორედ მათ შორის არსებულ ზღვარს ეძებდა მთელი კაცობრიობა.

ტერენტი გრანელი მაძიებელია უსასრულო სამყაროში მარადისობისა, მას არ სურს (არ აკმაყოფილებს) მარტო შემოფარგლული მიწიერი (ამქვეყნიური) ცხოვრება, არც გარდაცვალებაა მისთვის მარადიული განსასვენებელი, არამედ ეძებს მესამე გზას, სულ სხვა სავანეს რასაც მარადისობა ჰქვია.

პოეტმა შეძლო არა მარტო არსებული ზღვარის დანახვა, არამედ ოცნებით მიმოიხილა წარსულისა და აწმყოს მისამართები.

მართალია, ტერენტი გრანელი არ არის უფოლოგი და თეოლოგი, იგი ვერ ხსნის საიდუმლო მეცნიერულ რელიგიას, მაგრამ პოეტმა შეძლო მიახლოება კოსმიურ-სულიერი ჭეშმარიტებისა და დედამიწაზე ხორციელ სხეულში მყოფმა ადამიანმა სულით საზღვრის გადაფრენა შეძლო, წარმოსახვით აღადგინა მარადიული წრებრუნვის წარსულის გზა, სადაც ამბობს:

„ახლაც მახსოვს მისამართი შენი“.
„ცამდე წვდება ღამეების სიგრძე,
რაღაც სულ სხვა სიხარული ვიგრძენ“.

ტერენტი გრანელის ამქვეყნიური ცხოვრება სამწუხაროდ ხანმოკლე და გაჭირვებით აღსავსე იყო, რაც თავისი შემოქმედებიდან ნათლად ჩანს, ის თითქმის ეული და მარტოკაცი დადიოდა, რომელსაც მხოლოდ მარადიულად გვერდში ყავდა მეგობრად **„სიჩუმე“,** რომელსაც პოეზიის ენით **„დას“** უწოდებს.

მიწიერ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ამქვეყნიური ადამიანი გამუდმებით ფიქრობდე იმქვეყნიურ მარადიულ არსებობაზე და ამავე დროს იყო მიწიერ-ყოფითი ინტერესებით დაკავებულ ხალხის მასაში.

პოეტი, ტერენტი გრანელი ამქვეყნიურ ყოფას სიბნელესა და ღამეებს უწოდებს, მან მაქსიმუმი სიგრძის საზომად ზეცამდე მანძილი აირჩია და ამქვეყნიური ღამეების სიგრძე ზეცამდე მანძილს გაუტოლა.

სწორედ, ზეცამდე მანძილის ოცნების გავლის შემდეგ იგრძნობა პოეტის მკვეთრი შემობრუნება და გრძნობა რაღაც დიდ სიხარულის.

დიახ! სწორედ ეს არის ის უდიდესი ღვთაებრივი სიხარული, რომელიც ყოველმა ღვთისგან გაჩენილმა ადამიანმა ადრე თუ გვიან უნდა განიცადოს, ეს არის უსასრულო სამყაროს მარადისობა და მასში მარადიულად არსებული ადამიანის **„მე“**-ს მარადიულად არსებობის შეგრძნების სიხარული, რომლის შეგრძნების შემდეგ ადამიანი მიხვდება თავისი მარადიული სულის უსასრულო სამყაროში არსებობას.

„წინ მეშლება სხვა ოცნების არე
მიწის ცქერით დაიღალა მთვარე“.

დიდი სიღრმისეული ფილოსოფიური სიბრძნის დამტევია ტერენტი გრანელის შემოქმედება. ყოველ სტრიქონში იგრძნობა არაერთფეროვანი აზრით დატვირთვა, არამედ მასში ერთდროულად მოცემულია როგორც მიწიერ ასპექტში მყოფი ადამიანისათვის დამაკმაყოფილებელი პოეზიური ფუნქციები, ასევე მაქსიმუმი გონით მოაზროვნე პირთათვის შესანიშნავი ფილოსოფიური პოეზიის კლასიკური ნიმუშებია.

პოეტმა ტ. გრანელმა, აქვე, დედამიწაზე, ხორციელ სხეულშივე მყოფმა ადამიანმა, სულით გაუსწრო დროს, ანუ მარადისობაში მიმდინარე კოსმიურ თანმიმდევრობას. გრანელმა ბუნებრივ სულიერ მოწიფულობის შედეგად შესძლო ზე-ქვეყნიურისა და ქვე-ქვეყნიურის შორის არსებული ზღვარის ცნობიერებით გადალახვა და ამ კოსმიური თანმიმდევრული იერარქიების საწყისი ინსტანციების შედეგად მან იხილა სხვა ოცნებით გადაშლილი არე, რომელსაც ღვთიური კოსმიური მარადიული სასუფეველი ჰქვია.

მიწის ცქერით დაიღალა მთვარე“.

სულმნათი პოეტის ტ. გრანელი ლექსში, სწორედ ამ მომენტში აღწევს შემოქმედი მიწიერი ცნობიერების მაქსიმუმ ზღვარს.

პოეტი თავის ჭეშმარიტ სამყარო მარადისობის მიმართ შეხედულებას გადმოგვცემს დანამდვილებით, როდესაც აღნიშნავს მიწის ცქერით მთვარის დაღლას.

მასში იგულისხმება სამყარო მარადიული წრებრუნვის მსვლელობისას მიწიერი კაცობრიობის, ქრისტეს მეშვიდე ეკლესიის ცნობიერებაში გადასვლა, ანუ მთვარე დედამიწის უახლოესი თანამგზავრი, ქართულ-ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში მამად წოდებული (მზე დედაა ჩემი მთვარე მამა ჩემი) დაიღალა კოსმოსიდან ჩამოთესლილ არსებული კაცობრიობის წუთისოფლის დასაბამიდან დღემდე დედამიწაზე არსებული დაბალი ცნობიერებით და მთვარე, როგორც მამა ზეციერი, მიწიერ კაცობრიობას სთავაზობს ახალ, უსასრულო სამყარო მარადისობის შესაცნობ მოძღვრებას.

ამას კი მიწიერი ენით ქრისტეს მოძღვრება ეწოდება.

პოეტმა ტერენტი გრანელმა თავის შემოქმედებაში პოეზიის ფილოსოფიის სულ სხვა განსხვავებული გზა აირჩია, გრანელის მიერ შექმნილი კლასიკური პოეზიის შედეგრის ნიმუში, რამდენადაც მოცულობით მცირეა, მით უმეტესი გენიალური სიღრმისეული აზრით არის დატვირთული.

პოეტმა მოცემულ ლექსში სცადა ეჩვენებინა მთელი სამყაროს მარადისობა, სამყაროს მარადიული წრებრუნვა, კოსმიური უწყვეტი დინამიკა და ის, რომ ყველაფერი თავისთავშია, სამყაროში თანმიმდევრობით მარადიულად განმეორებადი.

პოეტი ლექსის ბოლოში იმეორებს ლექსის საწყის ორ სტრიქონს.

„გაზაფხულის საღამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი“

სწორედ ამ ულამაზესი პოეტური სიტყვების განმეორებით შეძლო გრანელმა თქმა დიდი ჭეშმარიტებისა, რომ ჩვენს გარშემო არსებული უსასრულო სამყარო თავისთავშია მარადიულად განმეორებადი.

დიდია გრანელის შემოქმედება, უდიდესი ფილოსოფიური სიბრძნითა და რომანტიკული ჟანრით არის აღსავსე მისი პოეზია.

ტერენტი გრანელის ნებისმიერი ლექსი იდუმალებითა და ფარული სიბრძნით არის მოცემული, რაც უფრო მიმზიდველობასა და სიყვარულს იწვევს მკითხველში.

ტერენტი გრანელის შემოქმედების გაცნობა და წაკითხვა იწვევს მკითხველში სრული ამქვეყნიდან სულით გადართვას, ტ. გრანელის შემოქმედება იმდენად საინტერესოა, რომ მისი სიღრმისეული შინაარსით წაკითხვა ნებისმიერ ადამიანს დააფიქრებს, მომენტალურად მაინც შეაძლებინებს აგრძნობინოს თავის თავზე და ჩვენს გარშემო არსებული უსასრულო სამყაროს მიკრო-მაკრო კოსმოსის არსებობაზე.

პოეტი ამბობს:

„შენ დედამიწავ, უფრო მაშინებ,
როცა ოცნებით ზეცას მოვიარ,
წმინდაო ღმერთო რად გამაჩინე,
მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია“

ან:

„ცრემლი არ მოდის ისევ მე ვსტირი,
და შორეული სივრცე მიტაცებს,
სული გაფრინდა მაღლა მტრედივით,
სხეული დარჩა ცოდვილ მიწაზე“.

დიახ, მეგობრებო, დიდია ტ. გრანელის პოეტური წვლილი ქართულ ლიტერატურულ შემოქმედებაში. აქვე მინდა ავღნიშნო ერთ-ერთი უდიდესი ჭეშმარიტება, რომ იყო ადამიანი, შემოქმედი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე და პასუხობდე ქართულ ცნობიერ მოწოდებას, ეს უკვე ნიშნავს, რომ ამ დედამიწაზე, ამ ხორცის სხეულშივე მყოფი ადამიანი ეზიაროს სამყარო მარადისობის ცნობიერ სუბსტანციის მაქსიმუმ გონს.

გრანელის შემოქმედება ჯერჯერობით არ არის საფუძვლიანად შესწავლილი და შეფასებული, საოცარია ის ფაქტი, რომ თვითონ პოეტმა სიცოცხლეშივე შეძლო შეეფასებინა თავისივე შემოქმედება:

„ქრიან ფიქრები თეთრი და შავი,
და ეს დღეები სახეს მიცვლიან,
ახლა ხომ დროა მოვიკლა თავი,
მეტის მოთმენა არ შემიძლია,
მე ვერ მიშველის თვით ჩემი ლექსი,
თვით ჩემი ლექსი სისხლის რვეული,
პოეზიაში ვარ უდიდესი
და ცხოვრებაში გზა დაბნეული“.

მხოლოდ გენიოსებს სჩვევიათ ხალხის მიმართ ესოდენ მნიშვნელოვანი შეკითხვის დასმა.

მე ვხედავ ქარი უფრო გამეფდა,
და პოეზია მხოლოდ გულია,
დამიფასდება მე ეს წამება,
თუ ყოველივე დაკარგულია.

დასანანია რომ პოეტი მხოლოდ მიწიერი გაზაფხულის ოცდაჩვიდმეტ გაელვებას მოესწრო.

მარადიული ნათელი ტერენტი გრანელის სულს!

ᲛᲣᲠᲛᲐᲜ ᲮᲣᲑᲣᲚᲐᲕᲐ

ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ ᲗᲕᲐᲚᲘ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲐᲡᲐᲪ ᲡᲬᲔᲠᲘᲐ

როგორც ირკვევა, სპეცტექნიკის გამოყენებით ახალაია და მერაბიშვილი უკვე ერთმანეთსაც კი უთვალთვალებდნენ და ზვერავდნენ.

თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა ამას წინათ განაცხადა, რომ არ იცის, რა მოუხერხოს იმ ძალზე ძვირად ღირებულ სპეცაპარატურას, რომელიც ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციის სათვალთვალოდ შეიძინა ყოფილმა ხელისუფლებამ და დღეს ის თავდაცვის სამინისტროს არაფერში სჭირდება.

მინისტრს არ დაუკონკრეტებია აპარატურის დასახელება (უფრო მეტიც, ხაზი გაუსვა, რომ თავდაცვის სამინისტროში არავინ იცის, რა ჰქვია მას), თუმცა, სავარაუდოდ, ლაპარაკი უნდა იყოს ოპტიკურ-ელექტრონული თვალთვალისა და ინფორმაციის მოპოვება-დამუშავების ერთიან სისტემაზე, რომელსაც სპეცსამსახურები ხშირად იყენებენ ობიექტის საცხოვრებლის სათვალთვალოდ დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში.

თუკი დავუჯერებთ თავდაცვის მინისტრს, გამოდის, მისი ერთ-ერთი წინამორბედის, ყველაზე დიდი ალბათობით კი ბაჩო ახალაიას, მინისტრობის დროს თავდაცვის სამინისტრომ რამდენიმე ათეული მილიონი დოლარის საფასურად შეიძინა ეს სისტემა კონკრეტული მიზნისთვის – ეთვალთვალა მაშინდელი ოპოზიციის ლიდერ ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციისთვის სოლოლაკში.

ამაში რაღაც ახალი და სენსაციური არაფერია, რადგან ჯერ კიდევ 2012 წლის 19 ნოემბრის **“კვირის პალიტრაში”** გამოქვეყნებულ ექსკლუზიურ სტატიაში **“ივანიშვილის სასახლეს შსს ტელეანძიდან უთვალთვალებდა”,** დაწვრილებით ვწერდით, თუ რა ტექნიკური საშუალებებით ზვერავდა ივანიშვილის რეზიდენციას ტელეანძიდან შსს-ს ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტი.

კერძოდ, შსს-ს სპეციალისტებმა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, ფუნიკულიორზე, ტელეანძის სამუშაო სათავსების ფანჯრებთან დაამონტაჟეს მძლავრი ტელეობიექტივით აღჭურვილი ციფრული ფოტოაპარატი, რომელიც ტელეანძიდან აფიქსირებდა დაახლოებით 1260 მეტრით დაშორებულ ივანიშვილის რეზიდენციაში შესულ და ეზოში მოსიარულე ყველა პირის სახეს. მიღებული ინფორმაცია მუშავდებოდა და შსს ივანიშვილის ყველა სტუმრის ვინაობას იგებდა.

წესით, პრეზიდენტ სააკაშვილისთვის ივანიშვილის რეზიდენციაზე თვალთვალის შესახებ შსს-ს ინფორმაციაც საკმარისი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ საქმეში ახალაიას მიერ თავდაცვის სამინისტროს ჩართვაც უფრო იმაზე მიუთითებს, რომ მერაბიშვილსა და ახალაიას შორის უკვე შავ კატას გაერბინა და ისინი ერთმანეთს აღარ ენდობოდნენ. მეტიც, სპეცტექნიკის გამოყენებით ახალაია და მერაბიშვილი უკვე ერთმანეთსაც კი უთვალთვალებდნენ და ზვერავდნენ.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲚᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

რატომ დუმდა კა-ბე-ბეს ჯარების ეფრეიტორი და რა თქვა ბოლის ოდესის სახელმწიფო ადმინისტრაციის თავმჯდომარემ?!

უკრაინის მედიაში გავრცელდა **„ოდესელი ებრაელების წერილი პოროშენკოსადმი"**, რომლის ავტორია ენაკვიმატობით ცნობილი უკრაინის რადის დეპუტატი ვასილი ვოლგინი:

„Петр Алексеевич, и шо Вы делаете? Вы не понимаете, шо сегодня о Вас будут говорить на Привозе?

Зохен вэй! Шо делается под небесами? Это давно такое бывает, шобы грузин евреями командовал?!

Вы там шо, в своем Киеве, совсем почву под ногами потеряли? Или может Вы, как главный украинский еврей, чем обижен на нас?

Так за шо? Петя, и шо мы тебе сделали? В умах ли ты? Возьми себе это чудо, нам не надо. Шо мы с этой "читой-маргаритой" делать будем? Он же совсем больной и за ним Губ ЧК бегает. Его не сегодня-завтра грузины к стенке поставлят и шо тада?

Петя, какой раввин тебя обрезал? Побойся Бога.

Оставь народ свой в спокойствии и не мучай нас грузинами. Живи себе спокойно и нам проблемы не делай."

მკითხველს შევახსენებ, რომ პოროშენკოს მშობლები ებრაელები იყვნენ და მამამისი გვარად ვალცმანი იყო. სწორედ ამიტომ უწოდებენ პრეზიდენტ პოროშენკოს მთავარ ებრაელს უკრაინაში.

როგორ მოხდა, რომ „совсем больной" და საქართველოს სამართალდამცველების მიერ ძებნილი **„ჩიტი-მარგალიტი"** დაინიშნა ოდესის სახელმწიფო ადმინისტრაციის თავმჯდომარედ? რა მოჰყვება ამას? რა ბედი ელის მის მიერ აშკარად მიტოვებულ ნაცებს საქართველოში?

ადამიანები, რომლებიც პირადად კარგად იცნობენ სააკაშვილს, ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ დანიშვნის ცერემონიის დროს და ტელეარხ **„იმედისათვის"** ინტერვიუს მიცემისას სააკაშვილი აშკარად დათრგუნული იყო. ვიცნობ რა ახლოს სააკაშვილს და მის ფსიქიკას, დარწმუნებული ვარ, რომ ფსიქოპათ-ლაჩარ სააკაშვილს აქვს ციხეში მოხვედრის აკვიატებული შიში. გაიხსენეთ, როგორ ლაპარაკობდა ინტერვიუში, რომ საქართველოში **„მატროსოვის 6 კვმ-იან საკანში"** მოუწევს ჯდომა. ეჭვი არ მეპარება, რომ ეს პერსპექტივა კოშმარულ სიზმრად იქცა მისთვის. ცხადია სააკაშვილი დღე და ღამე არწმუნებს თავის თავს, რომ ეს არასოდეს მოხდება, რომ პირიქით, გმირად დაბრუნდება საქართველოში, მაგრამ ქვეცნობიერება ღრღნის და არ ასვენებს მას. ყველაზე კარგად მან იცის, თუ რამდენი და როგორი სიმძიმის დანაშაული აქვს ჩადენილი საქართველოში; იცის, როგორ აწამებდნენ და კლავდნენ მისი დავალებით, ან მასთან შეთანხმებით უდანაშაულო ადამიანებს; იცის, ჩადენილის ნაწილიც რომ დაუმტკიცდეს, უვადო პატიმრობა არ ასცდება; ქვეცნობიერად ისიც იცის, რომ დააპატიმრებენ თუ არა, თვითონ დაფქვავს ყველაფერს ისტერიკული ტირილის თანხლებით. აი ამ ფონზე მას ჰგონია, რომ უკრაინის მოქალაქეობა მას საიმედოდ იცავს საქართველოში ექსტრადიციისაგან.

ვფიქრობ, სააკაშვილი იმასაც ხვდება, რომ ივანიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოდან მან გაასწრო, მაგრამ უკრაინიდან გაქცევა შეიძლება ვეღარ შეძლოს და ოდესის ოლქის გუბერნატორობა შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს მისთვის.

„იმედისათვის" მიცემულ ინტერვიუში სააკაშვილი უტიფრად ტყუოდა, როცა ამბობდა, რომ **„თუ საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი გადაწყვეტს, რომ მოქალაქეობა ჩამომართვას, დარწმუნებული ვარ, ესეც არ იქნება გადამწყვეტი ფაქტორი..."**

საქართველოს კონსტიტუციით და შესაბამისი ორგანული კანონით საქართველოს მოქალაქე მაშინათვე კარგავს თავის მოქალაქეობას, როდესაც მტკიცდება, რომ რომელიმე სხვა ქვეყნის მოქალაქე ხდება. საქართველოს პრეზიდენტს აქ არავითარი არჩევანი არ აქვს. სხვა საქმეა, რომ ამის შემდეგ ყოფილმა მოქალაქემ შეიძლება დადგენილი წესით მიმართოს პრეზიდენტს და სთხოვოს ხელახლა მიანიჭოს მას საქართველოს მოქალაქეობა. ასე მოიქცა ივანიშვილი საფრანგეთის მოქალაქეობის მიღების შემდეგ, მაგრამ მიუხედავად დასავლეთის დაჟინებული რჩევებისა და თხოვნისა, სააკაშვილმა აღარ მიანიჭა მოქალაქეობა საქართველოს ისტორიაში უდიდეს ქველმოქმედს და ამის ნაცვლად შეცვალა კანონმდებლობა ისე, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეს შეძლებოდა არჩევნებში მონაწილეობის მიღება და პრემიერის თანამდებობის დაკავებაც. ჯერჯერობით სააკაშვილს მარგველაშვილისათვის მოქალაქეობის მინიჭების თხოვნით არ მიუმართავს. საქართველოს პრეზიდენტს აქვს აგრეთვე უფლება თვითონ მიანიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობა, ამ პიროვნების საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის. მსოფლიო პრაქტიკით, გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მოქალაქეობის მინიჭებას წინასწარ უთანხმებენ მოქალაქეობის პოტენციურ მიმღებს. ვფიქრობ ბევრს ახსოვს აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის და მისი თნაშემწის ფილიპ გორდონის გაოგნებული სახეები, როდესაც სააკაშვილმა ქ-ნ ჰილარის საქართველოში 2012 წლის არჩევნების წინ, ქართული პასპორტი გადასცა. აშკარა იყო, რომ სააკაშვილმა მას სიურპრიზი მოუწყო. მაშინ ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი წერდა, რომ ქ-ნი ჰილარი დაჟინებით ურჩევდა სააკაშვილს ივანიშვილისათვის მოქალაქეობის მინიჭებას, სააკაშვილმა კი პასუხად ასეთი სიურპრიზი მოუწყო და ეს დაცინვისა და შეურაცხყოფის ტოლფასი იყო. (გაიხსენეთ ისევ სააკაშვილის კოშმარული სიზმრებიდან ამოფრქვეული ფრაზა: **„ჰილარი კლინტონი ჩამოვიდა და ორი თვე იძახდით – ჰილარი კლინტონი ჩამოდის, რომ სააკაშვილი წაიყვანოს. გეგონება გუდიანი კაცია ან ქალია, რომელიც ჩამოვა, მოიკიდებს ზურგზე დემოკრატიულად არჩეულ საქართველოს პრეზიდენტს და წაიყვანს სადღაც ვაშინგტონის რომელიღაც გარეუბანში და გადამალავს კონსპირაციულ ბინაში"**. – აი რა ეზმანებოდა მაშინ „совсем больной" ფსიქოპათს. მინდა დავაზუსტო. სააკაშვილს ცხადია ესმოდა, რომ კლინტონი მას არსად არ წაიყვანდა, მაგრამ ქ-ნი ჰილარი და აშშ-ს სხვა წარმომადგენლები უწყვეტ რეჟიმში ეუბნებოდნენ მას, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ნაცების **„გამარჯვება"** აშშ-ში და მთლიანად დასავლეთში ძალაუფლების საბოლოო უზურპაციად იქნება აღქმული და სააკაშვილს შესაბამისად მოექცევიან. სწორედ 2012 წლის 2 ოქტომბერს აშშ-ს სენატორებთან შეხვედრის შემდეგ სააკაშვილმა აღიარა დამარცხება...

საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმით სააკაშვილმა დაადასტურა, რომ საქართველოში მყოფი საკუთარი გუნდის (თანამზრახველების) იმედი აღარ აქვს. ჩვენს მედიაში ბევრჯერ დაიწერა, როგორ იძაბებოდა ურთიერთობა სააკაშვილსა და თბილისში მოქმედ ნაცისტებს შორის. როგორ ღიზიანდებოდა სააკაშვილი თანამზრახველების **„უნიათობის"** გამო, მათ კი სააკაშვილის სრულიად არაადექვატური ბრძანებები და მოთხოვნები აბრაზებდა. ნაცები არასოდეს ყოფილან შეკრული პოლიტიკური მრწამსით ან/და თუნდაც პირადი ურთიერთპატივისცემით და მეგობრობით. მათი ძალაუფლება ტყუილზე, სიძულვილზე და ძალადობაზე იყო დამყარებული და ასეთივე ატმოსფერო სუფევდა ხროვის შიგნითაც. თბილისში ბევრ ადამიანს ახსოვს, როგორ უწოდებდნენ სააკაშვილს გიჟს და იდიოტს სწორედ ისინი, ვინც შემდეგ ნაცების ცნობად სახეებად იქცნენ და დღესაც ინარჩუნებენ სააკაშვილისადმი ერთგული სამსახურით მოხვეჭილ დიდძალ ფულს, ქონებას და გარკვეულ პოლიტიკურ კაპიტალსაც. მერაბიშვილ-ადეიშვილის მეშვეობით გუნდი შეკრული იყო ერთად ჩადენილი დანაშაულით და **„შოლტისა და ნუგბარის"** მექანიზმის მოქმედებით. ბოლო დროს ორივე ფაქტორი მოდუნდა და სწორედ ამიტომ მიატოვა **„შესანიშნავმა ოთხეულმა"** ნაცების რიგები. მათ აღარ ეშინიათ შოლტისა და აღარ ღებულობენ საკმარის ნუგბარს, ნაცების რიგებში დარჩენის პერსპექტივა კი ბნელ ფერებში ესახებათ. საგულისხმოა, რომ კიევის ბორისპოლის აეროპორტიდან გაუსვლელად სსრკ-ს კგბ-ს სასაზღვრო ჯარებში ნამსახურები ეფრეიტორი სააკაშვილი დუმდა, არაფერს ამბობდა „თანაგუნდელების" დეზერტირობაზე. კიდევ უფრო საგულისხმოა, რომ ოდესის ოლქის სახელმწიფო ადმინისტრაციის თავმჯდომარემ ცნობილ ინტერვიუში არ გალანძღა და არ შერაცხა წასულები; სხვა ნაცებისაგან განსხვავებით არ თქვა, რომ დეზერტირებმა **„ოლიგარქის წნეხს ვერ გაუძლეს"** (წარმოიდგინეთ, როგორ გააწბილა მან ამით **„ოთხეულის"** კრიტიკოსები) და იმით შემოიფარგლა, რომ გააკრიტიკა წასულების მხრიდან **„ახალი სახეების"** გამოჩენის მოთხოვნა. (ბევრ მკითხველს ემახსოვრება, რამდენჯერ ისაუბრა თავად სააკაშვილმა **„ახალი სახეების"** საჭიროებაზე და ამ მხრივ ნაცების დიდ რეზერვზე 2012 წლის დამარცხების შემდეგ).

დასავლეთში პოლიტოლოგები სააკაშვილს ხშირად პუტინის **„სასარგებლო იდიოტს"** უწოდებენ. ეს დამკვიდრებული ტერმინია – ასე უწოდებენ **„გავლენის"** ისეთ აგენტებს, რომლებიც თვითონ ვერ ხვდებიან, რომ სწორედ იმ ძალას ემსახურებიან, რომელსაც თავის ჭკუაში ებრძვიან. ცხადია, პუტინის სასარგებლო იდიოტმა სააკაშვილმა ოდესის ოლქის ადმინისტრაციის უფროსად ყოფნის პერიოდში შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს ოდესის ოლქს და მთელ უკრაინასაც. მაშ რატომ დანიშნა პოროშენკომ სააკაშვილი და მის მიერ რეკომენდირებული ადამიანები მაღალ თანამდებობებზე? პოროშენკოს ბევრი აფრთხილებდა სააკაშვილთან დაკავშირებით, ჯორჯ სოროსმა საჯაროდ განაცხადა, რომ სააკაშვილს საქართველოში კორუფცია არ დაუმარცხებია, არამედ კორუფციის პრივატიზება მოახდინა. თავდაპირველად უკრაინაშიც ბევრს ეგონა, რომ პოროშენკომ ეს დასავლეთის და, პირველ რიგში, აშშ-ს გავლენიანი პირების რჩევით გააკეთა. მე ამას თვიდანვე გამოვრიცხავდი. გავიდა დრო და უკრაინელი კოლეგებისაგან გავიგე, რომ მსგავსი არაფერი ყოფილა და პოროშენკომ თვითონ მიიღო ეს გადაწყვეტილება. აქ რამდენიმე ფაქტორია მნიშვნელოვანი. პოროშენკო მართლაც მეგობრობს სააკაშვილთან მათი საერთო სტუდენტური წლებიდან მოყოლებული. ორივე მეგობრობს უკრაინის ყოფილ პრეზიდენტ იუშკენკოსთან, რომელმაც მონათლა პოროშენკის ორი ქალიშვილი და სააკაშვილის ვაჟი ნიკოლოზი. სააკაშვილის და მისი თანამებრძოლი-რეფორმატორების უკრაინაში მიწვევით მილიარდერი პოროშენკო ცდილობს უკრაინელებს და დასავლეთს დაუმტკიცოს, რომ თვითონ დისტანცირებულია სხვა ოლიგარქებისაგან და მართლა უნდა ბრძოლა კორუფციასთან. აღსანიშნავია, რომ იანუკოვიჩის და მისი ყაჩაღი მთავრობის გაქცევის შემდეგ უკრაინაში კვლავ მოქმედებს ოლიგარქიული მმართველობის სისტემა და ხალხის დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ეს ოლიგარქები უკრაინის ძარცვით გამდიდრდნენ და არა წარმატებული მეწარმეობის შედეგად. ამავდროულად პოროშენკოს აქვს სერიოზული დაპირისპირება პრემიერ იაცენიუკთან და მისი ძალაუფლება მნიშვნელოვნად შეზღუდულია როგორც უკრაინის კანონმდებლობით, ასევე ძალთა ფაქტობრივი განაწილებით. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი: განაცებულმა ქოცებმა ან, როგორც ახლა ხშირად უწოდებენ მათ, ქოციონალებმა, პრაქტიკულად არაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ დასავლეთს გაეგო, რა ჩაიდინეს სააკაშვილმა და მისმა ნაცებმა. ეს რომ დროულად, ეფექტიანად და სამართლიანად გაეკეთებინათ, მაშინ სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის მომენტისათვის მას უკვე ექნებოდა დასავლეთში სადისტური სისტემისა და უპასუხისმგებლო ავტორიტარული კლეპტოკრატიის შემქნელის სახელი. ასეთ შემთხვევაში მას საჯაროდ არავინ გაეკარებოდა, ისინიც კი, ვისთან მეგობრობისა და ვისი მხარდაჭერისათვის სააკაშვილმა ჩვენი ხაზინიდან მრავალი მილიონი დოლარი გადაიხადა. აი ასეთმა ფაქტორებმა განაპირობა ის, რომ სააკაშვილი ხან უმდიდრესი იახტით დაცურავს, ხან საერთაშორისო ფორუმებს ესწრება, ხან უკრაინაში რეფორმების ჩატარებისათვის იღვწის.

„ჩიტი-მარგალიტის" „რეფორმატორობა" ოდესის ოლქში კრახით დასრულდება, სამაგიეროდ ოდესური ანეკდოტების საგანძურს შეიძლება არაერთი შედევრი შეემატოს. ოდესაში უკვე ხუმრობენ, რომ ყველაზე ძლიერი ოდესური ანეკდოტი ის არის, რომ სააკაშვილი დაინიშნა მათ გუბერნატორად. ვიმედოვნოთ, რომ სააკაშვილი და მისმა თანამზრახველები რაც შეიძლება ნაკლებ ზიანს მიაყენებენ უკრაინელ ხალხს და ქართველი და უკრაინელი ხალხების ურთიერთობას.

პეტრე მამრაძე

ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲥᲣᲠᲓᲔᲑᲘ, ᲛᲐᲮᲕᲨᲔᲑᲘ, ᲣᲮᲣᲪᲔᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲕᲘᲡᲑᲔᲠᲔᲑᲘ – ᲐᲠᲐᲤᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ

***ᲐᲚᲑᲐᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲐᲮᲡᲝᲕᲡ, ᲠᲝᲛ �გᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲭᲐᲭᲘᲐ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲨᲘ ᲣᲮᲣᲪᲔᲡᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲔᲑᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐᲕᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲣᲮᲣᲪᲔᲡᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲑᲝᲠᲝᲢᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ. ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲛᲘᲡ ᲐᲛ ᲣᲐᲓᲠᲔᲡᲐᲓ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲠᲩᲔᲕᲐᲡ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲣᲒᲓᲝ ᲧᲣᲠᲘ. ᲐᲠᲐ ᲓᲐ, ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲛᲪᲔᲛᲔᲚ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ, ᲣᲮᲣᲪᲔᲡᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲗ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲐᲗᲘ ᲠᲩᲔᲕᲘᲗ ᲬᲧᲕᲔᲢᲡ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲡ. ᲛᲐ�გᲠᲐᲛ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲔᲕᲠᲝ-ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲓᲘᲠᲘᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲙᲔᲜ ᲑᲠᲛᲐᲓ ᲛᲘᲛᲥᲠᲝᲚᲐᲕ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚ ᲜᲐᲬᲘᲚᲡ ᲡᲐᲙᲛᲐᲓ ᲨᲔᲠᲧᲕᲜᲘᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲐ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲐᲑᲠᲐᲖᲔ, ᲠᲐᲖᲔᲓᲐᲪ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲥᲡᲔᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲡᲢᲐᲢᲘᲐ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲡᲐᲓᲘ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲘᲓᲔᲘᲡ ᲡᲐᲞᲘᲠᲬᲝᲜᲔᲓ ᲕᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲐᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲐ�გᲐᲜ ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚ ᲣᲮᲣᲪᲔᲡᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲐᲡ "ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲥᲣᲠᲓᲔᲑᲘᲡ" ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲗᲐᲜ ᲔᲠᲗ ᲡᲘᲑᲠᲢᲧᲔᲨᲘ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲡ.*

საქართველოში ოდითგანვე იყვნენ არაფორმალური მმართველები, რომელთაც არცთუ ისე იშვიათად, გაცილებით მეტი უფლება ჰქონდათ, ვიდრე კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელს. ამიტომაც იყო, რომ ამ არაკანონიერ მმართველთან ახლო ურთიერთობის დამყარებას დანიშვნის პირველი დღიდან ცდილობდა კანონიერი ხელისუფალი.

მმართველის საინტერესო ტიპი იყო ხევისბერი, რომელიც გარკვეული პერიოდის მანძილზე იყო კანონიერი ხელისუფლების დანიშნული. ხევისბერი წინამძღოლი იყო არა მხოლოდ სასულიერო ცხოვრებაში, მასვე ევალებოდა საომარი და სამართლებრივი საკითხების წარმართვა და გადაწყვეტა. ფუნქციონალურად ერთმანეთს უტოლდებოდა ხუცეს-ხელოსანთა ინსტიტუტი ხევსურეთში და ხევისბერის ინსტიტუტი – ფშავში. ხევისბერების სათავეში იდგა თავხევისბერი, რომელსაც ყველა ხევისბერი ემორჩილებოდა. თავხევისბერს ეკითხებოდა სათემო საქმეები. ის ხელში ლაშარის დროშით და ჯვრით აფიცებდა და წინ მიუძღოდა საომრად მიმავალ ლაშქარს.

ხევისბერთა შორის საზოგადოებრივ-ადმინისტრციული ფუნქცია ასე იყო განაწილებული: თითოეულ თემში საქმეებს აწესრიგებდა თემის ხევისბერი და გვარის ბჭეები. თუ საქმეს ხევისბერი ვერ გადაჭრიდა, ან ეს მისთვის სამძიმო იყო, მაშინ თავხევისბერს მიმართავდნენ, რომლის გადაწყვეტილება თემისათვის სავალდებული იყო. თავხევისბერს ებარა ლაშარის დროშაც.

ლაშქრობისა და ზავის საქმეს არჩევდა და წყვეტდა თორმეტივე თემის საერთო ყრილობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა თავხევისბერი. ამისთვის იწვევდნენ ყველა თემის ხევისბერებს და გვარის საპატიო მოხუცებს, რომლებიც იკრიბებოდნენ მათურხევასთან, დამასტეს მინდორზე ან ღელეში, სადაც ღამისთევით დგებოდნენ და თან თავიანთი სურსათიც მიჰქონდათ, თემების ამ ყრილობაზე წყდებოდა ზავისა და ლაშქრობის საქმე და აქედან ყველანი ლაშარის გორაზე ადიოდნენ. ლაშარში თავხევისბერი გამოიტანდა დროშას და ყველანი ფიცს დებდნენ. თუ მტერზე გალაშქრება გადაწყდებოდა, თავხევისბერი ხელში დროშით ლაშქარს წინ მიუძღოდა და ყველა თემი ერთად იბრძოდა.

არაფორმალურ მმართველად შეგვიძლია მივიჩნიოთ მახვშიც, რომელიც სვანეთში თითქმის იგივე ფუნქციებს ასრულებდა, რასაც ხევისბერი. სვანეთში დამკვიდრებული იყო თემის მმართველობის მეტად დემოკრატიული ფორმა: მახვშს, ანუ თემის მეთაურს, თემის საერთო კრება ირჩევდა. კრებაში მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდა თემის ორივე სქესის ზრდასრულ (20 წლის) წევრს. მახვში გამოირჩეოდა გონიერებით, დარბაისლობით, სამართლიანობით, სისპეტაკით. იგი იყო ცხოვრებაში ქრისტიანული წესების გამტარებელი, მშვიდობიანობის დროს მსაჯული, ხოლო ომიანობაში ლაშქრის წინამძღოლი. სვანეთში სახნავ-სათესი მიწები კერძო საკუთრებაში იყო, სათიბ-საძოვრები და ტყე – საერთო სათემო სარგებლობაში. ამის გარდა არსებობდა ხატის ტყე და მიწა, რომელიც ეკლესიის მოთხოვნებისა და რელიგიურ დღესასწაულებისათვის გამოიყენებოდა. მახვში არეგულირებდა სათიბ-საძოვრითა და ტყით სარგებლობის პროცესს, საძოვრების მონაცვლეობის, მიწის განაწილების, ნაკვეთების საზღვრის დადგენის საკითხებს და სხვა. ყველა სადაო საკითხს მახვში პირადად განიხილავდა 4-5 კაცის თანდასწრებით.

მახვში იყო მეტად მკაცრი, მაგრამ სამართლიანი თავის გადაწყვეტილებებში. ავისა და ცუდის ჩამდენს, ქურდსა და თემის შემარცხვენელს მახვში გაკიცხავდა და თემიდან მოჰკვეთდა. **"მოკვეთილისათვის ყველა კარი დაკეტილი იყო, წისქვილში საფქვავს არავინ დაუფქვავდა, ხატ-სალოცავში არ მიუშვებდა, მის საქონელსაც არ გააკარებდნენ სოფლის ნახირს"** (ვაჟა ფშაველა).

განსაკუთრებული დანაშაულის შემთხვევაში მახვშის თაოსნობით გაიმართებოდა ხევის ყრილობა, რომელიც აჭყრიდა დამნაშავეს (ან დამნაშავეებს) თემიდან და მის სახლ-კარს გადაწვავდა. ყოფილა შემთხვევები, როცა უმძიმესი დანაშაულისათვის, მაგალითად, თემის დალატისათვის ყრილობას სასიკვდილო განაჩენიც კი გამოუტანია.

პანკისის ხეობაში დღემდე უდიდესი კრძალვა აქვთ უხუცესთა საბჭოს მიმართ, სადაც ხეობისათვის პატივსაცემი ადამიანები არიან გაერთიანებული. მათი გადაწყვეტილება კანონის ტოლფასია, ასე იყო ადრეც, უხუცესთა მიერ მიღებული გადაწყვეტილების დარღვევა ხშირად თემიდან მოკვეთით და ზოგჯერ სიკვდილითაც კი სრულდებოდა (თუმცა მოკვდინება ეს უკიდურესი ფორმა იყო). ამიტომ უხუცესთა გადაწყვეტილებას ყველა რიდით ეპყრობოდა, ასევე უდიდესი პატივისცემით სარგებლობდნენ თვითონ უხუცესები, რომლებიც აუცილებლად გონიერებით, ზომიერებით და სამართლიანობით იყვნენ გამორჩეული.

მეოცე საუკუნემ არაფორმალურ მმართველთა ახალი კასტა შექმნა – კანონიერი ქურდები. **"კანონიერი ქურდები"** – დანაშაულებრივი გაერთიანება, რომელსაც მსოფლიო პრაქტიკაში ანალოგი არ გააჩნია. ტრადიცია ჩამოყალიბდა 1930-იან წლებში და ახასიათებს კრიმინალური კოდექსების მკაცრი პრინციპების არსებობა, ასევე ჩაკეტილობისა და კონსპირაციის გარკვეული დონე. ძირითადად, **"კანონიერი ქურდი"** ითვალისწინებს, რომ ამ ტრადიციების მიმდევარი უნდა იცავდეს გარკვეულ ადათ-წესებსა და პრინციპებს. **"კანონიერი ქურდებისადმი"** ხალხის პატივისცემა ერთგვარი პროტესტი იყო საბჭოთა ხელისუფლებისადმი, რომლის წინააღმდეგი იყო **"კანონიერი ქურდი"**, თუმცა ნელ-ნელა ეს პატივისცემა შიშმა შეცვალა. ხშირად იყო, რომ **"კანონიერი ქურდები"** დაახლოებული იყვნენ ხელისუფლების კანონიერ მმართველებთან და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს სამართალდამცავებთანაც კი, ვისგანაც მათ ჰქონდათ სრული **"კარტ-ბლანში"** და ეს გარემოება მათ გავლენას კიდევ უფრო ზრდიდა.

არცთუ იშვიათად **"კანონიერი ქურდები"** იღებდნენ ისეთ გადაწყვეტილებას (მას შემდეგ კანონიერი მმართველი აკანონებდა), რომელიც ამ სინდიკატის წისქვილზე ასხამდა წყალს. ფული და გავლენიანი სანაცნობო წრე, ამ ორ ფაქტორს წარმატებით იყენებდნენ და საზოგადოებაში ჩანდნენ, როგორც ხელშეუხებელი ადამიანები. მართლაც 70-80-იან წლებში იშვიათად იყო შემთხვევა როდესაც **"კანონიერი ქურდს"** პოლიცია აპატიმრებდა, მათი უმრავლესობა ისევ საკუთარი **"თანამოძმის"** მსხვერპლი ხდებოდა. საბედნიეროდ, დღეს არაფორმალური მმართველები თითქმის აღარ არიან (თუმცა პანკისის ხეობაში დღემდე არ კარგავს ძალას უხუცესთა საბჭო) და ყველაფერს კანონი არეგულირებს, თუმცა თითქმის ყველა სოფელსა თუ ქალაქში არიან ადამიანები, რომელთა სიტყვას უდიდესი პატივისცემა აქვს.

ᲚᲐᲓᲝ ᲒᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ

ᲕᲘᲛᲔᲝᲠᲔᲑᲗ – ᲰᲝᲛᲝᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲘᲖᲛᲘ ᲒᲐᲠᲧᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐᲐ, ᲒᲐᲠᲧᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐ ᲙᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲐ!

ამას წინათ სოციალურ ქსელებში გავრცელდა ვიღაც ნატა ძველიშვილისა და თაზო კუპრეიშვილის საკმაოდ ვრცელი ნაშრომი თემაზე **"რუსული გავლენა არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიაზე"**, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი იმ არასამთავრობოების წარმომავლობა, დამფუძნებელთა და თანამდგომთა ვინაობა, რომლებიც ვერა ვერ ვერ ურიგდებიან ნაციონალების მიერ თავსმოხვეული საქართველოს გაპიდარასტების დამღუპველ პროცესებს და სიტყვითა და საქმით იბრძვიან ქართული საზოგადოების გაჯანსაღებისა და საქართველოს ტერიტორიული გამთლიანებისათვის. იმის გამო, რომ მათი ძალისხმევა გარკვეულ ასპექტებში თანხვდენაში მოდის რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკასთან, ეს ქართული არასამთავრობოები **"რუსეთუმეებად"** და ქსენოფობებად არიან გამოცხადებული და, მათი აზრით, დაღუპვისაკენ მიჰყავთ საქართველო.

აღნიშნული ნაცოდვილარი იმდენ კონკრეტულ ფაქტს შეიცავს, რომ მის შემქმნელებს შორის ილანდება სააკაშვილისა და მერაბიშვილისდროინდელი უშიშროების **"ყურები"** და ბედნიერება ის გახლავთ, რომ აღნიშნული **"დანოსი"** უკვე ყავლგასულია და ხელისუფლება მას ყურადღებას აღარ აქცევს, თორემ ისევ ბნედიანი და შეურაცხადი სააკაშვილის ზეობის ჟამი რომ იდგეს, ეჭვიც არ მეპარება, რომ ზნედაცემული **"მკვლევარების"** ნატა ძველიშვილისა და თაზო კუპრეიშვილის ეს დამაბეზღებელი ოპუსი უამრავი ადამიანის ცხეში გამომწყვდევის საბაბად იქცეოდა, რა თქმა უნდა, სამშობლოს ღალატის ბრალდებით.

მათ მიერ ნაცოდვილარი **"დანოსი"** იმდენად არაჟურნალისტურადაა დაწერილი, რომ იგი საკუთარი უფროსისადმი უბნის ინსპექტორის პატაკს უფრო შეიძლება შევადაროთ, ვიდრე სერიოზულ ანალიტიკურ კვლევას. პატაკში **მხილებულია** გაზეთი **"საქართველო და მსოფლიო"**, **"საქინფორმი"**, არასამთავრობო ორგანიზაციები **"ისტორიული მემკვიდრეობა"**, **"ერეკლე მეორის საზოგადოება"** და ის არასამთავრობო სტრუქტურები, რომლებიც მოუწოდებენ საქართველოს ხელისუფლებას, რომ რუსეთთან აუცილებელია ნორმალური კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენა, რაც სათავეს დაუდებს ყოველი ქართველისათვის სამშობლოს გამთლიანების ესოდენ ნანატრ საქმეს.

თურმე ეს ყოფილა სამშობლოს ღალატი და არა სააკაშვილის მიერ 2008 წლის აგვისტოში გაჩაღებული პროვოკაციული ომი, რომელმაც საქართველოს აფხაზეთსა და სამაჩაბლოსთან ერთად დამატებით დააკარგვინა კოდორის ხეობა და ახალგორის რაიონი. მაგრამ ჩემი წერილის მიზანი არ გახლავთ პედერასტიის თავგამოდებულ დამცველ ძველიშვილისა და კუპრეიშვილის პატაკის **"ძლიერი"** და სუსტი მხარეების განხილვა. უბრალოდ, ძალან გულნატკენი დავრჩი იმით, რომ მათ **"ნაწარმოებში"** ერთი სიტყვაც კი არ არის ნათქვამი გაზეთ **"ილორსა"** და მის მთავარ რედაქტორზე – თქვენს მონა-მორჩილზე, რომელიც გაზეთის დაფუძვნების დღიდან (1999 წლის მარტი) თავდაუზოგავად ებრძვის იმ **"ნაციონალურ მოძრაობას"**, რომელიც ამერიკელთა ხელდასხმით ამკვიდრებდა საქართველოში ჰომოსექსუალიზმს, ანტიმართლმადიდებლურ ღირებულებებს, გაუკუღმართებულ კავშირებს, სოდომიზმს და სხვა გარყვნილებებს, და რაც მთავარია, ამ უმსგავსოების წინააღმდეგ ამხედრებულ ნებისმიერ პატრიოტულ ძალას ნაციონალური სახადი ქსენოფობებად და რუსეთუმეებად მოიხსენიებდა.

დიახ, თუ რომელიმე ქვეყნის ხელისუფლება იზიარებს ნორმალური ქართული საზოგადოების სულისკვეთებას და კანონგარეშედ აცხადებს ყოველგვარ გარყვნილებას, მათ შორის ჰომოსექსუალიზმს, მე ამ ქვეყნის მეგობრად და თანამდგომად მივიჩნევ ჩემს თავს! ასეთი კი, დღევანდელ ცოდვილ სამყაროში რუსეთი და კიდევ რამდენიმე სახელმწიფოა. გარყვნილი სამყარო აუცილებლად დაგვამარცხებდა ზნეობრივი სიწმინდეებისათვის მებრძოლთ, მაგრამ რუსეთი მძლავრი სახელმწიფოა და ევროამერიკელი მასონები მას ვერაფერს აკლებენ. და თუ მე არ გამაჩნია იმის სურვილი, რომ ჩემმა ბიჭმა ცოლად ამხანაგი ბიჭი მოიყვანოს, ჩემმა ქალიშვილმა კი მეგობარ გოგონაზე იქორწინოს, ბუნებრივია, სწორედ რუსეთთან უნდა დავდგე ახლოს და არა იმ სულწაწყმედილ, ნაციონალების მიერ ჩვენს მეგობრებად აღიარებულ ევროამერიკელებთან, რომლებიც კაცს ისე არ დანიშნავენ თანამდებობაზე, თუ პედერასტი არ არის, ხოლო იმ ქალს არად ჩააგდებენ, რომელიც თავისნაირ ქალთან არ ამყარებს სქესობრივ კავშირს.

მართლაც რომ მიმიფურთხებია ასეთი მეგობრებისათვის!

ამხანაგო ძველიშვილო და ამხანაგო კუპრეიშვილო, მე ყოველთვის დაუნდობლად ვამხელ გადაგვარებულებს, იმიტომ, რომ მინდა ჯანმრთელ საზოგადოებაში ცხოვრება, სადაც ადგილი არ არის იმ გარყვნილი არარაობებისათვის, რომელთაც დავიწყებული აქვთ თავინთი უკანალის ბიოლოგიური დანიშნულება.

ასე რომ, ტყუილად გადამაბიჯეთ უბედურო ძველიშვილო და კუპრეიშვილო, რადგან, აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ ვინმეა რუსეთუმე და ქსენოფობი, სწორედ მე ვარ და ამით ვამაყობ კიდეც!

მე კარგად ვიცნობ თქვენი კატეგორიის ხალხს, რომლებიც ქვემძრომობით აგროვებენ სადამსმენო მასალას წესიერ ადამიანებზე, მაგრამ თუ კიდევ მოგინდებათ მსგავსი **"დანოსის"** შეთხზვა, მოდით ჩემთან და საგულდაგულოდ აგიხსნით, თუ როგორი მეთოდებით ვებრძვით გარყვნილობის დამნერგავ მახინჯ ბოკერიებს, თარგამაძეებს, კანდელაკებს და მათ მსგავსთ. შეგახსენებთ იმასაც, რომ როცა თქვენი თაყვარეშა ბელადი მიხეილ სააკიანცი პირზე ქაფმოდებული აქებდა და ადიდებდა ვლადიმერ პუტინს, ჩვენ მაშინ მკაცრად ვაკრიტიკებდით იმ რუსებს, რომლებიც ხელს უშლიდნენ ქართველების, აფხაზებისა და ოსების დიალოგს, რასაც საქართველოს ტერიტორიულ გამთლიანებამდე უნდა მივეყვანეთ.

კიდევ ბევრ რამეს აგიხსნით, უბადრუკო ძველიშვილო და კუპრეიშვილო, რათა საბოლოოდ დაგარწმუნოთ, რომ საქართველო არასოდეს შეეგუება იმ გარყვნილებას, რომელსაც თქვენ და თქვენისთანები ახვევენ თავს ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოს.

თქვენი დამქირავებლებისადმი, თქვენდამი და თქვენნაირებისადმი ზიზღით, შეურიგებლობითა და თავის არგაყადრებით გამსჭვალული

ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲯᲐᲚᲐᲦᲐᲜᲘᲐ,
�გᲐᲖᲔᲗ "ᲘᲚᲝᲠᲘᲡ" ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

ლადო ბურდული: შეიძლება ბოლნისის "სიონში" სპონსორი გამოჩნდეს

ბოლნისის **"სიონმა"** საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი მოკრძალებულ, მე-13 ადგილზე დაასრულა. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. თუნდაც ის, რომ ზამთარში ბოლნისური კლუბის შემადგენლობა მთლიანად გადახალისდა და აქცენტი ახალგაზრდა ფეხბურთელებზე გაკეთდა...

დასრულებულ სეზონზე, **"სიონის"** აწმყოსა და მომავალზე გუნდის მთავარ მწვრთნელ ლადო ბურდულს ვესაუბრეთ...

– რთული სეზონი გამოდგა **"სიონისთვის"**. ობიექტურად რომ ვთქვა, უკეთესი გუნდი გვყავდა, ვიდრე ეს შედეგიდან ჩანს. ზამთარში ბევრი გამოცდილი ფეხბურთელი გავუშვით და აქცენტი ახალგაზრდებზე გავაკეთეთ. ეს არ არის იოლი პროცესი. ექვს თვეში ვერ აეწყობა ახალი გუნდი. გაჩნდა შეთამაშების პრობლემა, იყო უიღბლობის და, განსაკუთრებით, ტრავმების მომენტი...

– თუ ლიდერების წინააღმდეგ "სიონი" მეტწილად კარგად თამაშობდა, ამას ვერ ვიტყვით უშუალო კონკურენტებზე. გუნდს სათამაშოდ განწყობა თითქოს უჭირდა...

– მე უფრო ტრავმებზე გავაკეთებდი აქცენტს. პრაქტიკულად, ისე მოხდა, რომ არც ერთი მატჩი არ ჩაგვიტარებია ოპტიმალური შემადგენლობით. გურეშიძე და ცნობილაძე, წამყვანი მცველები, ხშირად გვაკლდებოდნენ.

უკანასკნელ შეკრებაზე გიორგი მიქაბერიძე **"სიონის"** ერთ-ერთი ლიდერი იყო. ჩამოვედით და... ორ ტურში დაშავდა. დროის დეფიციტიც გვქონდა. ევროპალიგაზე რომ გავიდა, იმ გუნდის მოთამაშეები ორი წლის განმავლობაში ერთად იყვნენ და შეთამაშების პრობლემა არ ჰქონდათ.

– მომავლის გეგმები როგორია?

– ჯერ კლუბის ხელმძღვანელობასთან უნდა დავილაპარაკო. მაისის ბოლოს **"სიონთან"** კონტრაქტი მეწურება. ვნახოთ, რა იქნება... შეიძლება, სპონსორი გამოჩნდეს **"სიონში"**.

– სოლიდურ კომპანიაზეა საუბარი?

– თუ წელიწადში ნახევარ მილიონ ან მილიონ ლარს დახარჯავს, ჩვენს პირობებსა და რეალობაში უკვე სერიოზული სპონსორი შეიძლება ვუწოდოთ.

– ახალ ფეხბურთელებს თუ დაიმატებთ? აქცენტი ქართველებზე გაკეთდება თუ უცხოელებზე?

– ჯერ ის გვინდა, რომ ძირითადი ბირთვი შევინარჩუნოთ. ქართველებიც და უცხოელებიც შეგვიძლია მოვიაზროთ პოტენციურ ახალწვეულებად. მაგალითად, პორტუგალიელმა ლუის ალბერტომ გაამართლა. ის ჩვენი ჩემპიონატის საუკეთესო თავდამსხმელად მიმაჩნია. თუ ასეთი ლეგიონერი გამოჩნდება, რატომ არ უნდა ავიყვანოთ ის?! აქვე გეტყვით, რომ დაგვტოვა ბრაზილიელმა ლეგიონერმა არაუყომ. სხვა სიახლეების შესახებ მოგვიანებით ვილაპარაკოთ...

– "სიონმა" კონტრაქტი გაუგრძელა ლუის ალბერტოს. მომავალ სეზონში პორტუგალიელი უფრო მეტად უნდა გამოგადგეთ...

– მასთან ერთი წლით გავახანგრძლივეთ ხელშეკრულება. მაგრამ, შესაძლოა, ლუის ალბერტომ მომავალ სეზონში "სიონში" არ ითამაშოს. თუ ისეთი გუნდი გავაკეთეთ, რომელიც უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებს, მაშინ ლუისს დავიტოვებთ, თუ არა და, შესაძლოა, მან სხვაგან გააგრძელოს კარიერა.

– არის ინტერესი?

– არის ინტერესი როგორც ქართული, ისე თურქული და დანიური კლუბებისგან.

– დაჩი ცნობილაძისა და სანდრო გურეშიძის სავარაუდო ტრანსფერებზე "სტიაუა" ხომ არ შეგხმიანებიათ?

– ჩვენ რომ ვეთამაშეთ **"სტიაუას"** თურქულ შეკრებაზე, ამ ორი ფეხბურთელის მიმართ იყო დიდი ინტერესი. ამის შემდეგ რუმინელები კონტაქტზე აღარ გამოსულან.

– უნდა გთხოვოთ საქართველოს დასრულებული ჩემპიონატის შეფასება. გაამართლა თუ არა 16-გუნდიანმა პირველობამ?

– ჩემი აზრით, გაამართლა და შევეცდები ავხსნა, რატომ ვფიქრობ ასე. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ პირველობა ორ წრედ ჩავატარეთ და ოთხჯერ არ შევხვდით ამა თუ იმ გუნდს. ჩემპიონატს ბოლომდე არ დაუკარგავს ინტრიგა. ცხრილის ზედა და ქვედა ნაწილში რაც ხდებოდა, ეს ყველამ ვიცით.

შემიძლია დავიფიცო, რომ დიდი ბრძოლა მიდიოდა თუნდაც მეექვსე ან მეშვიდე ადგილისთვის. გუნდების უმრავლესობა ჩვენთან სახელმწიფო სტრუქტურებისგან ფინანსდება და ხელმძღვანელობა აქცევს ყურადღებას შედეგს, დაკავებულ ადგილს...

კარგად გახსოვთ, წინა ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე ჩვენ ვაწყდებოდით უმოტივაციო გუნდების პრობლემას. ახლა ეს აღარ არის. დავამატოთ ისიც, რომ, ფაქტობრივად, ყველა კლუბში გამოჩნდა ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი.

ამბობენ, ხარისხი დაეცაო. მე ვარ მწვრთნელი, შიგნიდან ვხედავ ყველაფერს და გულწრფელად გეუბნებით, ხარისხი არ დაცემულა. ჩვენზე მეტად არავის უნდა, რომ ხარისხი იყოს მაღალი.

– დაბოლოს, გკითხავთ საქართველოს თასის ფინალზე. ასეთ ანგარიშს "დინამოს" ქომაგთა დიდი უმრავლესობაც ვერ წარმოიდგენდა. თქვენ?

– ასეთ ანგარიშს არც მე ველოდი. გარდამტეხი მომენტი, ალბათ, მაშინ დადგა ამ შეხვედრაში, როცა ალექსანდრე იაშვილმა დიდებული პასი მისცა გიორგი დათუნაიშვილს და **"დინამო"** მეკარემ გადაარჩინა...

თასის ფინალი იყო, ჩამორჩენილმა **"სამტრედიამ"** ზონები მოაშიშვლა და მივიღეთ ის ანგარიში, რომელიც ტაბლოზე დაფიქსირდა. **"დინამომ"** დიდებულად ითამაშა. იყო კლასი, სანახაობა, მომენტების რეალიზაცია...

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა

უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374

იუმორი

ნამდვილი რაჭული ანეკდოტი:

პოლონეთში ომის ვეტერანთა შეხვედრაზე საქართველოს დელეგაცია ჩავიდა. ათვალიერებენ, ხვდებიან, ომის წლებს იხსენებენ. საღამოს დელეგაციის წევრი ორი რაჭველი ვეტერანი არ ჩანს. ვერსად ვერ იპოვეს.

დილით ერთ-ერთი მოვიდა ტალახში ამოგანგლული.

– სადა ხართ, კაცო! – ეცა დელეგაციის ხელმძღვანელი.

– აქანა, ხიდის აფეთქება დაგვავალეს, და ვერ მოვასწარით მაშვინ, და ეხლა შევასრულეთ დავალება.

– რა დავალება, რის ხიდი, ხომ არ გაგიჟდი! მეორე სადაა?

– დეიღუპა გმირულად!

* * *

მეგრელი იღვიძებს ნამთვრალევი, გვერდზე ვიღაც ქალი უწევს. არაფერი არ ახსოვს.

– რამდენი წლისა ხარ შენ?

– რამდენისაც გამოვიყურები – გაიპრანჭა ქალი.

– ნუ იტყვილები, ქალო, მაგდენს არ ცოცხლობენ!

სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაძირვას ცდილობდა და კვლავ ჩაღგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში

დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატებია: თელავი, სოფელი შალაური, გაგნიძე ბიჭიკო (დომენტი). **ტელ: 893-22-66-51**

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930

234-32-95

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: **როლანდ ჯალაღანია**

ტექნიკური რედაქტორი: **მიხეილ ჩოდრიშვილი**

გაზეთის მენეჯერი: **ზურაბ ქობალია** 599-34-37-27

სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირბატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჯინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე **WWW.saqinform.ge**